

1923

444

№ 9—10

ԳԱՐԱՀԵՐԱ
ՅՈՅՈՐՈՒԹՅՈՒՆ

ԿԱՐԱՀԵՐԱ



ՏԱԿԵԼԱՑՈՅՆ ՑԱՅՈՑԵՐԵԱԼՈՒՏԻ.

შინაარსი

88.

1. ოქტომბრის რევოლ. მესვეურნი ამხ.	
მ. ცხაყაი. ფ. პახაძე.	2
2. 25 ოქტომბერი, — მარიამ ორახელაშვილისა . . .	3
3. წითელ ოქტომბერს, — ლექსი სანდრო გულისა . .	7
4. წითელი ოქტომბერს, — მუსიკა შ. თაქთაქიშვილის.	8
5. ოქტომბერს ყვავილები, — ლექსი სეზ.	
ერთაწმინდელის	10
6. ოქტომბრის რევოლუციის უკანასკნელი დღეები . .	12
7. პროლეტარული მგოსანი აკოფ აკოფიანი სურ. . .	16
8. პროლეტარული მგოსანი აკოფ აკოფიანი, —	
ა. რ. შავის	17
9. მჟედლის სიმღერა, — ლექსი აკოფ აკოფიანისა . .	26
10. დაიხუცენ არ დაღუპულან, — ლექსი	
აკოფ აკოფიანისა	27
11. 26 კომუნარი, სურ	29
12. 26 კომუნარი, — X-სა	30
13. 26 კომუნარი, — ლექსი სეზმან ერთაწმინდელის . .	34
14. მკვიდრები მოკითხებს გითვლიან, —	
არაზიისა ლ. კარაპეტიანის	35
15. პარიზის კომუნა, — დ. კასრაძისა	37
16. ნატახტარის საიდუმლო, — შემდეგი, ლ. ქაჩელისა.	48
17. გასართობი: რებუსი და ასსა.	63



ନାନାଶ୍ରୀପାଦାନନ୍ଦ



ଚରଣର୍ଥ, ଶାହମାରିଗାଲା,
ଦାମ୍ପଥର୍ଥ, କଟକର ପାନତ!

୧. ୫.

ଶ୍ରୀରମଦ୍ଭଗବତ ଓ ଅନୁଷ୍ଠାନିକ. 1923 ମ.


ପ୍ରକାଶକ ପାତାଲପଟ୍ଟନାୟକ.

ପ୍ରକାଶକ.


ବ୍ୟାକ୍ରମ. ଗାନ୍ଧୀ. ମେ-୩ ଶତାବ୍ଦୀ, କାଳାବ୍ୟାକ୍ରମ ଫ. ନଂ ୫.
ନଂ 1896 ମାତ୍ରାବସାମଲିତ୍ୟାମ ନଂ 693




ଓଡ଼ିଆମହାନୀର ରେଖାଚିତ୍ରାଳ୍ୟରେ ମହାଶୈଖନା



ଅମ୍ବ. ମନୋ ପ୍ରକାଶ



ଅମ୍ବ. ଫ୍ରେଡିଲିଙ୍ଗମାର୍କ୍




ამხ. ვლ. ლენინი.

25 ოქტომბერი.

25 ოქტომბერს (7 ნოემბერს ახალი სტილით) საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატოული კავშირის ყველა მშრომელი, კერძოდ საქართველო, დღესასწაულობს ოქტომბრის რევოლიციის თავის დღესასწაულს.

დღესასწაული უწინაც ბევრი იყო. იყო სხვადასხვა სახის და სხვადასხვანაირადაც დღესასწაულობდენ მათ. ბევრი მათგანი იყო სარწმუნოებრივი, საეკლესიო ხასიათის, რომელიმე სრულიად უცნობ „მთავარ მოწამისა“ ან „წმინდანის“ ცხოვ-




ამხ. მ. ორახელაშვილი.



ამხ. გ. ელიავა.

ჩებასთან დაკავშირებული, ან ეგრედ წოდებული სახეფო
 დღესასწაულები: მეფის დაბადების, სახელწოდების, სი-
 კვდილის, ქორწინების, ტახტზე ასვლის, ან მეფის გვარის
 პირთა „სასწაულით“ გადარჩენისა. ყველა ეს დღესასწაული
 იყო უაზრო, გაუგებარი, ისინი ვერ აფრთხოვანებდენ მუშებს,
 არ აკავშირებდენ ერთი იდეით, პირიქით სთესდენ მათ შო-
 რის მტრობას, მძულვარებას, ბოროტებას, სთიშავდენ მათ.
 დღესასწაულობლა სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა უროს სხვა-
 დასხვა „ღმერთს“ ზეციურსა და მიწიერს... ამ დღეს ჯალ-
 დო ეძლეოდათ მინისტრებს, გუბერნატორებს და სხვა მახე-
 ლეებს. ამ დღეს მეფე თავისი ბურეუაზიით ილხენდა და ზე-
 მობდა, მუშები და გლეხები კი მათრასს ქვეშ მუშაობდენ,
 ან სამიკიტნოში თავის უკანასკნელ ლუკმა პურს ლოთო-
 ბაში ავებდენ. გარდა ამ დღესასწაულებისა, რომელნიც არა-
 ფერსაც არ სძენენ არც ჭიქის, არც გონეგას, მუშებმა დიდი



ამხ ს. ორჯონიკიძე.



ამხ. ტროცკი.

ხნიდან იციან თავისი პროლეტარული დღესასწაულები: დღესასწაულები სოლიდარობისა, პროტესტისა, ბრძოლისა, გამარჯვებათა და მოგონებათა. ამ დღესასწაულებს ისინი სხვა რიგად იხდიდენ. ეს დღესასწაულები აერთოებდნ მთელი ქვეყნის მშრომელთ ერთ დიდ მძლავრ კოლექტივად, რომელსაც აკაცხლოება ერთი დრადი სურვილი და რემენა მჩიგვრე თთა დამარცხებისა. თავის დღესასწაულებს ისინი იხდიდენ და ახლაც იხდიან, სადაც ჯერ კიდევ არა საბჭოთა ხელისუფლება, ფარულად, პოლიცია ისა და ენდარქტერიისაგან დამალვით, მათი მოტყუებით, ე. ი. არალევალურად, ან ორგანიზაციულად, დემონსტრატიულად, აშკარად ქუჩაში გამოსვლით — გ.ნადგურებისა, ცემა-რევზის, დატყვევების, გადასახევებისა და დახვრეტის მოლოდინში. საბჭოთა რესპუბლიკების მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ ბურუუაზიაზე გამარჯვების პირველი დღიდანვე დაადგინა სავალდებულოდ იმ დღეების უქმობა, რა დღესაც ყველა მშრომელი იგონებენ იმ შემთხვევებისა და საქმეთ, რაც თვითონ ხალხმა, თვითონ მუშებმა და გლეხებმა მოიმოქმედეს თავისი საკუთარი სიკეთისა და კეთილდღეობისათვის. ამ

დღეებში ხალხი რომელსაც წმინდანს კი აღარ იგონებს, რომ-
ლისაგანაც ის არავითარ ხეირს არ მოელის, არამედ იმ საქ-
მებს, რომელნიც სასარგებლო უყო მშრომელებისათვის და
საჭიროაც, რადგანაც ის ასწავლიდა მათ ბრძოლას და ძლევას.

პირველი ჩვენი ასეთი დღესასწაული არის ოქტომბრის რევოლუციის დღე. ამ დღეს, 1917 წელს, გამანადგურებელ მსოფლიო ომის წყალობით დამშეულმა და დატანჯულმა რუსეთის მუშებმა და გლეხებმა დაამხს ბატონებისა, მემამუ-
ლებებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება და ჩამოართვეს მათ ყველა მშრომელთათვის მიწა და მთელი სიმღიღრე და დაამყარეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. ისინი უხიზ-
ლად დგანან თავის პისტე და ერთგულად იცავენ რევო-
ლუციის. მონაპოვართ თავის ქვეყანაში და სხვა დაჩაგრულ
ერებსაც ეხმარებიან თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მხო-
ლოდ ასეთი გამარჯვების წყალობით შესაძლებელი გახდა
ომის გათავება, ზავის ჩამოგდება და იხალი სახელმწიფოს
შენების დაწყება. მაგრამ ეს დღე დღესასწაულია არა მარტო
საბჭოთა რესპუბლიკების — ოქტომბრის რევოლუციიამ გარს
შემოიკრიბა და შეაერთა მთელი ქვეყნის მშრომელი. მარ-
თალია, ხუთქიმიანი ვარსკვლავი ჯერ კიდევ კაშკაშად
ანათებს მთელი ქვეყნის მხოლოდ ერთ მეექვსედს, მაგრამ ის
ანათებს მთელი ქვეყნის დაჩაგრულთათვის, მოუწოდებს მათ
დიადი ბრძოლისაკენ. ამისი მაგალითია გერმანიის მუშები,
რომელნიც უკანასკნელ გადამწყვეტ ომს აწარმოებენ თა-
ვის და მთელი ქვეყნის ბურჟუაზის წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლუციისა და მის გამარჯვებაში ჯილ
მონაწილეობას იღებუა მუშათა და გლეხთა ახალგაზღობა და
ფრიად დიდი საქანიობისა და გმირობის გამოჩენა დასჭირ-
დება მას დიდი ოქტომბრის საქმის დასაგვირვენებლად.

უმაწვილებო, ოქვენი დანიშნულებაა შევსება და გამაგ-
რება წინ მიმვალთა რიგების, ამისათვის თქვენ ნათელი
წარმოდგენა უნდა გქონდესთ, უნდა შეიყვაროთ, ლრმად
უნდა შეისწავლოთ და შეიგნოთ ეს დღე და მისი მნიშვნე-
ლობა, გაფაციურებით უნდა ემზადებოდეთ, რომ დროზე ჩა-
მოართვათ ბრძოლაში დალალულს თქვენს უფროსებს მთელი
ქვეყნის რევოლუციის მებრძოლი წითელი ალამი და შეუდ-
რეკელად მიიტანოთ ის შრომის კაპიტალზე საპოლოოდ
გამარჯვებამდე.

მარიამ ორახელაშვილი.



წითელ ოქტომბერს.

დღეს

ოქტომბერს
ვდღესასწავლობთ,
წათელ ოქტომბერს.

დღეს

წარსულ ბედს
აღარ ვნაღვლობთ,
მტერს არ ვუხრით ქედს.

დღეს

ჩვენს ბავშებს—
ახალგაზრდებს—
ვუჩვენებთ სწორ გზებს.

დღეს

ჩვენს რაშებს
ათამაშებს,
ქროლვა უსიამს ფრთებს.

დღეს

სიცოცხლეს ვანეტარებთ,
ვუთხზავთ ტრფობის ლექსს.

დღეს

ძველ მხარეს
ცეცხლს ვუკიდებთ,
მწარეს ვასმევთ მტრებს.
სანდრო ეული.

წითელი ოქტომბერი.

Allegro maestoso. აუდინი ბერძნი მუს. შ. თავთაქიშვილისა.

ბუხდი.

ფორტიფიცინო.

f დღეს, აქ-გომბის სედლეს წა-უ-ლობთ, წი-თელ აქ-გომ-

- ბერძნის, დღეს წარ-სულ ბერძნის ა - ლარ გნა-ლობთ,

მუერს არ უ-ხრით ქედს დღეს ჩვენს ას-მებს პაბლიუ-ლებს

Սի-նց-նկօտ եվուար ցնցօն, զլյա կողման ժիշտ համա-միօն յունացայս եծման օյնուցօն.

a tempo

զլյա ես ցուրինեան բնի - բա-րյած յոտ հայտ գրայան օյնեան. զլյա

f a tempo

ff un poco tenuto *rit.*

ծայլ մեծ բարյած յո - բարյած, միւ - բարյած յաս - մեյզու մեյզու.

ff un poco tenuto *rit.*



ოქტომბრის ევავილები.

კომუნის წიცელ ფონზე
ღვინობისთვე ფრთხებსა შლის;
და მზის ნეტარ ათონზე
ბავშთა სადღეგრძელოს სცლის!..

ოქტომბრის ყვავილები
აეკინძა ახალ ქნარს,
და შრომისა შვილები
ბრძოლით ჰყაფავენ აქ ნარს!...

მარგალიტის მტევნები
აკიდოთ შვენის რუზე;
და სინათლის მდევნები
იქარგვის ცის ფირუზზე! ..

კრთიან ფოლადის სიმნი
აფრენილი ციაგზე,
და ისმის მნათობთ ჰიმნი
ახალ ნაქარგ წიაღზე!..


მაღლა ავარდნილ ალზე
აინაშგლა ზღაპრები;

და ანძების მწვერვალზე
 აიშალა აფრები!..

ზედ ლეგენდურ რაინდებს
 აუშვით რაშები;
 და, ო, სიმღერა ინთებს
 ჭენებას რიცრაცებით!..

კომუნის წითელ ფონზე
 ღვინობისთვე ფრთებსა შლის;
 და მზის ნეტარ ათონზე
 ბავშთა საღლევრძელოს სკლის!..

სეზმან ერთაწმინდელი.



აფეთქებულ ნანგრევებზე მოჩანს შრომის სიმბოლო ჩა-
ქუჩ-ნამგალი მნათობთ გვირგვინ ში. ისმის თავისუფლების
ჰიმნი და... ხელგადახვეულ მუშასა და გლეხს მხარს უმშვე-
ნებს წითელი მეზოვაური და ჯარისკაცი.

შემოდგომის ყვავილებში იხატება საგაზაფხულო ხეი-
ვანი... ბრძოლის ქნარზე აკინძულ საუკუნეთა აკიდოებს
შვენის აფირუზებული ქათიბი ყაყაჩოსფერ ღილებით...

ანაკრებულ ფონზე, იწერება უკვდავი რომანი ოქტომ-
ბრის კალმით...

დაკოურებული ხელები ჰფურცლავებ ახალი მატიანის
კაბალონები.

III.

ირიგრაფა...

სისხლისფერ ცას ცეცხლი ეკიდება.

აერორა ყარღის თითებით ქვეყანას ჰპარავს შავ-ნაბაღს...

ორი ჰაშია ფეხაკრეფით მიიპარება ვიწრო ქუჩაზე.

— შეჩერდით! — წინ გადაელობა შექაღარავებული მუშა
გუშაგი.

ყმაწვილები შიშმა აიტანა.

— ვისი ხართ? — მოესმათ იგივე ხმა, ალერსით.

ჰაშიები გასწორდენ.

— ჩვენ და-ძმა ვართ. მამა ბარიკადაზეა. ვერ გავძელით
უიმისოდ. დედა...

ველარ დაათავეს და ცრემლები მოაწვა ლურჯ თვალებს...

— დედა?! რა მოუვითა?

— იუნკრებმა მოჰკლეს. დედა, დედა...

— მამას რა ჰქვია?

— ანდრია: ძია, გაგვიშვი! ამ ბარიკადზე იყო გუშინ-
წინ... — და ხელი გაუშეირეს ზარბაზნით დანგრეულ ქარხა-
ნასთან ბარიკადაზე.

— ანდრია? ჰე!.. წადით, შვილებო, მაგრამ... შინ მოვა
დღეს. აქ, ვაი თუ... გაცივდებით.

— არა მამასთან გვინდა.

მოჰკურცხლეს ბარაჯადებისაკენ.

— საბრალო ბავშვები! — ჩილაპარაკა ვუშაგმა, რომელ-
მაც იცოდა, რომ ბარიკადაზე პრეცედად ანდრია, მისი ამხა-
ნავი, დაეცა განგმირული.

— მაგრამ, ჯალაონებო! ჩვენი ეშაფოტები გაცცემენ პა-
სუხს!.. — შევძლრიალა გუშაგმა და საზამთრო სასახლისკენ შეი-
წინია რყინის მუშტი.


აქა-იქ, კანტი-კუნტად სროლა კვლავ ისმოდა ..

IV.

გაცრეცილ ლოყებიანმა მჩემ ლეგა-ქალაქს ოქროს
თმები მოაბნია და... წითელ კუბოს ემბორა, რომელთ შოა-
სანთქავად დედაშიწა პირს აღებდა...

ორი პატია ფიცს აძლევდა სამარის პირს მდებარე მშობ-
ლებს, რომ იგინი ძველი მსოფლიოს გულზე შურისძიების
ისეთ ჭიაკოკონას დაანთებენ, რომ თვით ღმერთებიც თავდა-
ყირა ჩიმოცვინდენ...

ს. — ელი.





ଶ୍ରୀଲ୍ପ୍ରତ୍ଯାମୁଖୀ ମଧ୍ୟାବନୀ ଏକଟ୍ ଏକଟୀବନୀ ।



აკოფ აკოფიანი ახალგაზრდობაში.

პროლეტარული მგრესანი

აკოფ აკოფიანი

კოფ აკოფიან (პაკობაშვილ-ბობულიან) დაიბადა განჯაში 1866 წ. 17/30 მაისს.

მაც მისი — ცაცან — ყარაბერის გულისტანის

თალიშის სოფლის მწყები იყო და, როგორც უპატრონო, ობოლი ბავში, დიდ გასაჭირს განიცდიდა.

მისი საჭმელი ფეტვის პური იყო, საცმელი კი ცალ-ტოტიანი შარვალი.



დღეს იღამებდა მთებში, ღამეს აოენებდა ღორებთან ერთად.

მწყემსმა მაკაკამ გაღისწყვიტა ამ გაჭირვებიდან გამოსვლა და რაიმე ხელობის შესასწავლად განჯაში გაპარვა.

ასეც მოიქცა.

ერთს შვენიერს დღეს გამოიკრა წელზე ფეტვის პური, ღორები საძოვარზე დასტურა და განჯისაკენ უაეშება.

განჯაში ის მიებარა ხარაზს. ხარაზის შეგირდი მაკაკა რამდენიმე წლის შემდეგ „ქარგლობას“ ეღირსა და ცოლიც კი შეირთო.

მაკაკას და სანდუხტს (აკოფის დედა) ეყოლათ ოთხი შვილი, რომელნიც მალე დაეხოცათ.

მეხუთე შვილი აკოფი იყო.

დედის ერთა და „აზიზი“ აკოფა მთელი წელი წლის განმავლობაში არ ჩამოშორებულ არც დედის ძუძუს და არც აკვანს, ვიდრე მის მშობლებს მეექვსე შვილი არ ეყოლათ, რომელმაც ჩვენს აკოფს ჩამოართვა აკვანიცა და დედისერთობის სახელიც.

აკვანდაკარგულმა აკოფამ მთელი თავისი სიყვარული ქალალდზე და „წიგნის კითხვაზე“ გადაიტანა.

აგროვებდა ქალალდებს ქუჩებში და „ზა-ზა-მას“ ტიტინობდა, ვითომდა კითხულობდა.

ხშირად აკოფს შეხვდებოდით თავის წიგნს ჩახუტებულს ამა თუ იმ კუთხეში მიძინებულს.

7 წლის აკოფა მიაბარეს ერთი დედაკაცის, სახელად წოვი აზას, „სკოლაში“ *), საღაც მან წერა კითხვაზე მეტად წყლის ზიდვა შეისწავლა.

ეს სკოლა მოთავსებული იყო ღიღ ფარდულში, რომელსაც კედლები ჩამონგრეული ჰქონდა და აქა-იქ ფიცრებდა კერებული. ორმოცდაათამდე ბავში იჯდა აქ ფეხმოკეცილი, თავის სახლიდან მოტანილ ჭილობებზე. დარბაზის თავში ბრძანდებოდა წოვი აზა შინდის წქეპლით ხელში. როგორც ყარაბალელ დედაკაცს, მას პირი ახვეული ჰქონდა.

*) ამ ტიპის სკოლებს სომხები „ტერ-თოდიქიონ დპროც“ ეძახიან.

თითოეული ბავში კითხულობდა თავის გაკვეთილს ხმამაღლა. თუ ვინმე ხმას ძალიან აიმაღლებდა, წოვი აზა მას ზურგში თავის წკეპლას დაუმიზნებდა. გაწვრთნილი წკეპლა მიზანს არაოდეს არ ასცილდებოდა. ქარი თუ ამოიჭრებოდა, ხანდახან ფიცარს მოგლეჯდა და ბავშებს თავში დაუშვებდა. ზამთარში სიცივეს ასე ებრძოდენ: თითოეულ მოწაფეს თავის წინ ამოთხრილი ჰქონდა პატარა ორმო. ამ ორმოში ჰყრიდენ შინიდან მოტანილ შეშას ან ნახშირს, ცეცხლს აჩაღებდენ და ზედ თბებოდენ.

წოვი აზას წკეპლას რომ ბავშებისთვის თვალი არ ამოეთხარა, მოწაფეები ისხდენ „მასწავლებლისკენ“ ზურგშექცივით.

კვამლი, ხმაურობა, წოვი აზას წკეპლა და „მამაო ჩვენო“ ამშვენებდენ ამ „სკოლას“.

ორ წელიწადს „დაამთავრა“ აკოფმა ეს „სკოლა“. შემდეგ ის გადიყვანეს განჯის საეკლესიო სკოლაში, საღაც „ახალი მეთოდით“ ასწავლიდენ „გეომეტრიას“ და „ალი-

ლუიას“. მალე აკოფა აქედან გამოიპარა და აღარ მოისურვა იმ სკოლაში დაბრუნება, საღაც ეკლესიის ბაღში იების მოწყვეტისთვის სკოლის გამგისაგან ორი მძიმე სილა მიიღო.

ამ სკოლაში გეომეტრიული „პურკი“ და „ქვაღრატიკის“ გარდა აკოფამ შეისწავლა „მკრტიჩ ვარეჟაპეტისაგან (მასწავლებელი) „ღმერთი-თავისუფლება“*), რევოლიუციონური სიმღერა. დედა კი სულ „ღიღლაზიას გაიძახოდა.

სკოლიდან გაქცეულ აკოფისთვის მაშას სურდა თავის ხელობა, ხარაზობა, ესწავლებია, რომ ან „კუპეწი“ და ან „ტერტერა“ გამოსულიყო და თავიდან ხელმწიფის ხარჯები აეშორებია. დედა კი სულ „ღიღლაზიას გაიძახოდა.

*) ეს სიმღერა (დაწერილი ჰერცენის ამხ. მიქაელ ნალბანდიანისა) იმ დროს ითვლებოდა რევოლიუციონურ სიმღერად. აქ სხვათა შორის ნათქვამია: პირველი სიტყვა, რომელიც მე წარმოვსთვი აკვანში, „მამა“ ან „დედა“ კი არ იყო, არამედ „თავისუფლება“. ამ თავისუფლებისთვის არ შევჩერდები არც ციხის, არც სახრჩობელის წინაშე“ და სხვ.

ენკენისთვეში აკოფი*) მართლაც მიაბარეს განჯის პრო-
გიმნაზიაში, სადაც სწავლობდა მეექვსე კლასამდე და საიდა-
ნაც გამოაგდეს, ოოგორც „რევოლუციონერი“.

აკოფი ძალიან ნიჭიერი ბავში იყო და კარგად სწავლობ-
და, მიუხედავად იმისა, რომ მეტ წილად მშიერი და ტიტ-
ველი იყო.

აქ ცოტას შევჩერდებით და აღვნიშნავთ იმ პირობებს,
რა პირობებშიაც „გიმნაზიისტი“ აკოფი. სწავლობდა.

მამის ბრძანებით ის მოვალე იყო ყოველ დილა-სალაშის
ეკლესიაში ეგალობა და თავისი შვენიერი ხმით (აკოფის მართ-
ლაც ძალიან კარგი ხმა ჰქონდა) „ეკლესია დაემშვენებინა
და მამის გული გაეხარებინა“. მამა გაუთენებლივ წამოაგდებდა
აკოფის და წაათრევდა ეკლესიაში. აქედან მშიერი აკოფი
შეუდგებოდა პროგიმნაზიის გზას, იქიდან ისევ მშიერი კუ-
ჭით მიღიოდა გაკვეთილების მისაცემად (ამზადეად ბავშებს
გიმნაზიისთვის) და, შინ რომ დაბრუნდეოდა, მამა ისევ ეკ-
ლესიაში მიათრევდა „სალაშის ლოცვაზე“.

შებინდდებოდა თუ არა, აკოფი მოვალე იყო ლოგინში
ჩაწილილიყო, „რომ ნავთი ტყუილად აო დამწვარიყო“.

საწყალი ბავში გაკვეთილებს ამზადებდა დერეფნის ბან-
ზე, მთვარის სინათლეზე, ან და მეზობელი თერძის შუშაგა-
ტეხილ ლამპაზე, რომლის შუშა ყვითელი ქაღალდით იყო
დაკონიშებული და მარტო ერთ მხრიდან ანათებდა. ამ ლამ-
პარს შემოუსხდებოდა სამი (თერძი, მისი ცოლი და აკოფი)
და თითოეული მათგანი ცდილობდა ლამპის სინათლიანი მხ-
რე თავისკენ მიეტრიიალებია.

როგორც თვითონ აკოფი გადმოგვცემს, არც საჭმელი
ჰქონია მას ხეირიანი.

„ჩვენი კოთად ერთი საჭმელი, გვიამბობს ის, ხარშო**)
გახლდათ, რომელსაც დედა ჩემი გვიხარშავდა ბლობა წყა-

*) ამ დღემდი აკოფის გვარი აშულ-ბობულიანი იყო, ამიერიდან
კი ეს შეიცვალა ჰაკოფიანად (აკოფის ჰაპის სახელით).

**) ქართლშიაც ხარშავენ ამ საჭმელს. ხარშო იმერული ხარჩო
არ გეგონოთ.



ლზე ერთ კოვზზე ერბოს და ერთ კვერცხს. შევ დაობებულ და გამხმარ პურის ნატეხებს ჰყორიდა და ერთ პირს წამოადუღებდა ხოლმე.

ხორცს ჩვენ ძალიან იშვიათად ველირსებოდით. ხშირად შშაერიც ვწვებოდით.

გაკვეთილების ფასით აკოფი ტანისამოსსაც იკერავდა და დედასაც ინახავდა. რადვანაც კარგად სწავლობდა, სწავლის ქირისაგან მას მუდამ ათავისუფლებდენ.

აკოფას ამ ხანში უკვე ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული. ძალიან უყვარდა და ზეპირადაც იცოდა ბევრი იმ დროის რევოლუციონური სიმღერა და თვითონაც ამ კილოზე სწერდა ლექსებს.

როცა აკოფი მეექვსე კლასში იყო, მთავრობამ დახურა სომხური სკოლები. ბავშები ცრემლებით ემშვიდობებოდენ ძვირფას სკოლებს.

ბუნებით ამაყი აკოფა, რასაკვირველია, ამ გარემოებას გულგრილად ვერ შეხვდებოდა. მან დასწერა პროკლამაცია ალექსანდრე მესამის რეზიმისა და განათლების მინისტრ დელიანვის პოლიტიკის წინააღმდეგ და ღამით ეს პროკლამაცია გააკრა ეკლესიის კედელზე.

ამ დროს მერვე კლასის მოწაფეებმა ის მიიწვიეს თავის ფარულ ჯვუფში, სადაც ის განაგრძობდა პროკლამაციებისა და რევოლუციონურ ხასიათის ლექსების წერას და რეფერატების კითხვას. აღმინისტრაციამ აღმოაჩინა პროკლამაციის ავტორი და აკოფი დაითხოვეს გიმნაზიის მეექვსე კლასიდან (1886 წ.). დაითხოვეს და უბრალო ქალალდიც კი არ მისცეს მის შესახებ, რომ მას უსწავლია განჯის პროგიმნაზიაში.

იმავე წელს აკოფი ჩამოვიდა თბილისში და აფთიაქის მოწაფედ შევიდა წურინოვის აფთიაქში. მთელი წლის განმავლობაში ის აფთიაქიდან გარედ არ გამოსულა.

აქედან ის გადაიყვანეს ბაქოს ერლიხის აფთიაქში, სადაც მას ტანჯვა გაუორკეცდა. აფთიაქის პატრონი ძალიან ცუდად ეპყრობოდა მოსამსახურეებს, განსაკუთრებით შეგნებულ და მოუთმენელ აკოფას. ეს იწვევდა აკოფის პროტესტს, რის გამოც აკოფი აფთიაქიდან დაითხოვს.

აკოფამ მთელი შვიდი თვე შშიერი და უბინაოდ იარა ბაქოში, სანამ ერთ-ერთ „წარმოებაში“ შავი მუშის საქმეს იშოვნიდა.

შვიდი წელიწადი დარჩა ის ბაქოში და ამ ხნის განმავლობაში ბევრი ადგილი და თანამდებობა გამოიცვალა. მას სუსყველგან ითხოვდენ სამსახურიდან, როგორც ამაყს, მოუთმენელ ადამიანს და შეუპოვარ ხასიათის მუშას.

სამსახურთან ერთად ის სწერდა მუშებისთვის ლექსებს, თანამშრომლობდა ბაქოს უფროსი კლასების მოწაფეთა კავშირის გაზეთში და მღეროდა კარა-მურზას მომღერალთა გუნდში.

როგორც ზემოდა ვსთქვით, აკოფს ძალიან კარგი ხმა ჰქონდა და მისი სიმღერა განთქმული იყო. ბევრი ურჩევდა კონსერვატორიაში შესულიყო და საოპერო მომღერალი გამოსულიყო, მაგრამ, როგორც ვიცით, აკოფი პროლეტარული მგოსანი გამოვიდა და არა საოპერო მომღერალი.

ბაქოში აკოფი ნელ-ნელა დაუახლოვდა მუშებს, შეისწავლა მათი ყოფა-ცხოვრება, ახლო გაეცნო მათ მდგომარეობას, შრომის პირობებს, შრომის ორ პოლიუსს: აუწერელ ექსპლოატაციას და მდიდართა ფუფუნებას ერთი მხრით და აუტანელ სიღარიბესა და ტანჯვას მეორე მხრით.

მუშებს ის უკითხავდა წიგნებს, რევოლიუციონურ ლექსებს და ავტოცენტრების მათ შორის საზღვარგარედან მოტანილ არალეგალურ ლიტერატურას. ის გაეცნო აგრეთვე რევოლუციონურ წრებს და ამ დღიდან არ დაშორებია არც მუშებს, არც რევოლიუციის საქმეს.

როგორც ვსთქვით, აკოფი მუშაობდა მოწაფეთა გაზეთში 1889 წლიდან, მაგრავ მისი ლექსები პირველად დაიბეჭდა თბილისის უურნალ „მურჭა-მი (ჩაქუჩი) 1893 წ.

მისი ლექსების სერიოზულ უურნალში მოთავსებამ აკოფს ფრთხები შეასხა და გადასწყვიტა თბილისში გადმოსვლა და აქ მუშაობა.

1894 წლის დასაწყისში ჩვენ უკვე ვხედავთ აკოფს თბილისში. ის ითვლება „მურჭის“ მუდმივ თანამშრომელთა

რიცხვში და აქვს პატარა სამსახურიც „Россия“-ს დამზღვი. საზოგადოების თბილისის განყოფილებაში *).

აკოფი კმაყოფილია, ვინაიდან მოსვენებით სწერს და ეს ნაწერები ეურნალში იბეჭდება.

1895 წ. მან მოათავსა ხსენებულ ეურნალში ავტოლის წყალსადენის მუშებასთვის დაწერილი ლექსი: „ნამუსი და ყაირათი“.

ჩაქუჩი და გრძებლი, ან კვერი რა პოეზიის მასალათ, ხშირად უსაყველურებდენ აკოფას. მაგრამ მას ყურადღება არ მიუქცევია მათთვის და 1899 წ. უკვე გამოსცა თავის ლექსების პირველი კრებული.

ამ კრებულმა თავის დროზე ძალიან ააღმარიცა მდგრადი კრიტიკა. ზოგი ისევ დასცინოდა აკოფიანს, ზოგი კი „რაღაც კარგ და ლამაზ აზრებს“ პოლიტიკური კრებულის ლექსებში.

აკოფას არ აღლვებდა და არც ფრთხებს ასხამდა კრიტიკოსების აზრი, ის განაგრძობდა სვლას თავისი გზით. მაგრამ მალე ის დაპატიმრებდა და მეტების ციხეში მოათავსეს.

1902 წელს დაიბეჭდა აღა-ნეგრიდან აკოფის ნათარგმნი ლექსი „გიმუშავია შენ?“

ამ ლექსს ყურადღება მიაქციეს დეპოს მუშებმა და დავალეს მას „მარსელიეზის“ გაღმოთარებმა სომხურ ენაზე.

აკოფიანმა ეს დავალება სიამოვნებით შეასრულა და თავის მხრივაც დაუმატა რამდენიმე რევოლუციონური სიმღერა, რომელიც შემდევ ცალკე კრებულიდ გამოვიდა.

ამ ლექსებმა აკოფიანს გზა გაუხსნა სოც. დემ. მუშათა პარტიისკენ.

1903 წ. მან გამოსცა ცალკე წიგნად აღა-ნეგრის ნაწერის თარგმანი, რომელიც სწრაფად გავრცელდა მუშათა შორის.

მისი ნაწერების და საზოგადო რევოლუციონურ მო-

*) აკოფამ თბილისშიც ბეჭრი სამსახური გამოიცვალა. ბოლოს თბილისის კომერციულ ბანქში (შემდეგ გადაკეთდა ამიერ-კავკასიის ბანქად) შევიდა, სადაც 20 წელიწადს იმსახურა, საქართველოს გასაბჭოებამდე.

დვაწეობის დაწვრილებითა ჩამოგვლამ რომ შორს არ წა-
გვიყვანოს, აქ ჩვენ რამდენიმე სიტყვით ვიტყვით, რომ 1904
წლიდან აკოფა საბოლოო გაიტაცა პარტიულ (ბოლშევი-
კურ მიმართულების) მუშაობაში. დღე და ღამე მას მოსვენე-
ბა არ ჰქონა და ერთი წუთითაც არ მოშორებია რევოლუციის
საქმეს. ცხადად უ ფარულად, იატაკს ჭეშ, თუ ტრიბუნა-
ზე ის იყო და რჩება მუშის თავგანწირულ მგოსნად, რევო-
ლუციის დაუღალავ დარაჯად. არც ერთი ლეგალური, არც
ფარული გაზეთი არ გაძისული, რომელშიც აკოფს მხურვა-
ლე მონაწილეობა არ მიეღოს. მთელი ოცდათი წლის გან-
მავლობაში ის მუშაოთვეს აელერებს ჩანგს და ამ ხნის გან-
მავლობაში მას თუთხმეტ წიგნზე მეტი აქვს გამოცემული.
აქვს აგრეთვე მრავალი დაუბეჭდავი ლექსი.

მიუხედავად ხანგრძლივი მუშაობისა ის დღესაც ახალგა-
ზრდული გატაცებით განაგრძობს ჩანგის ჟღერას და დღესაც
გვიაღერსებს: „დღეა თუმც მოხუცი ვარ და წარბები ვერ-
ცხლის ძაფებით მაქვს მორთული... მაგრამ სულით ჯერ ახალ-
ხაზრდა, ისევ თქვენი აზრებისა და ქარიშხელების მომღერალი
ვარ. დღეს ჭაღარა ვარ, მაგრამ ხვალ თქვენთან ერთად ფრთებ
შესხმული ვიქნები...“

აკოფიანი ვი წლის განმავლობაში თავის ლექსებში
განუწყვეტლივ ღიაღია და მის მიზანის, მის გასაჭირის,
ამ გასაჭირის მზურების და მის ასაშორებელ გზებს. გვიყ-
ვარს მისი —

„ვავექცე ხალხსა?...

— ოჲ, არას დროსა!

სული და გული
მის სიცოცხლეში
მაქვს მე ჩარგული,
და მის ძარღვებში
მჭიდროდ ჩართული
მაქვს მე ძარღვები“.

მაგრამ რას გვიმღერის ჩვენ, ჩვენ — ბავშებს? რას გვასწა-
ვლის, საით მიგვითოთებს ჩვენ?

არც ერთს წუთს აკოფიანს არ დავიწყდებოდა, როგ



„ჩვენი მთელი მომავლის იმედი დამყარებულია ბავშებზე, ამ ჩვენი მომავლის ბატონ-პატრონზე“.

ამასთანავე ის მოითხოვს, რომ ამ „ბატონ-პატრონმა“, რომლის წინაშე ის „თავს იხრის, ქაღარა, თავსა“, არ დაივიწყოს, „რომ მან შებლი უნდა მოირთოს კთავგანწირულებით“ და რომ ტანჯული ხალხი მიიყვანოს იქ, სადაც:


„ვაჟი და ქალი,
ვით და-ძმა მკვიდრი
ერთ დედმამილან
ერთ ღლეს ნაშობნი,
ღიმილ ხარხარში,
და-ძმურ ფერხულში,
ავი და შური
აქვთ მათ ჩაკლული“.

ა. რ. შაკ

P. 8. მთელი ოცდათი წელიწადი უმლერა მან პროლეტარიატს და უხმობდა მას ბრძოლის ველისკენ. და დღეს ამიერკავკასიის პროლეტარიატი თავის მაღლობის აღსანიშნავად აკოფ აკოფიანს უმართავს საზეიმო ღლეს.

აკოფ აკოფიანის სალიტერატურო და საზოგადოებრივი ოცდათი წლის მოღვაწეობის საზეიმო ღლე დანიშნულია ა. წ. დეკემბრის 2-ს.

ა. რ. შაკ.



მწედლის სიმღერა.

დაჭყარ, დაჭყარ, ამხანაგო,
 გამოვსჭედოთ ჩვენთვის ბედი!
 დე ათრთოლდეს მტკიცე გრდემლი
 და გაისმასახმა თავხედი!
 ცეცხლი ელვად მიმოფანტე,
 დააფრქვიე სხივთა წყარო,
 რომ აენთოს აღთქმის მხარე
 და გაშუქდეს მთლად სამყარო!
 ჩვენ ვართ შვილნი ბუნებისა,—
 ოფლი ცხარე ავაჩქეფოთ,
 და ხელებით ძარღვიანით
 ვპოვოთ პური საარსებო,
 რომ შეესძლოთ მტერთა კრებულს:
 ჩვენ ვერ გვნახავთ დამცირებულს.
 დაჭყარ, დაჭყარ, ამხანაგო!
 ღრო არ იცდის, უამი ჩქარობს:
 უკვე ფრთხებს შლის და მიფრინავს
 შეების დილა სანეტარო.
 ჰო—და ისე მავრად დაჭყარ
 ფოლადის გრდემლს შენი კვერი,
 რომ შეინძრეს მთლად ქვეყანა,
 რომ ათრთოლდეს ყველაფერი!..

აკოფ აკოფიანი.



დაიხოცენ არ დაღუპულან!

(ლექსი დაწერილია 1906 წ.)

ო, რა გმირები დაიხოცენ, ამხანაგებო!
 დაიხოცენ, არ დაღუპულან,
 მათ თვალებიდან იფრქვევოდა ცეცხლი მქუხარე,
 ბაგეებიდან მრისხან ელვა.
 ისინი მუდამ აღელვებდენ ხალხის ოკეანს
 თავისი სიტყვით,
 შეურისძიების, გულისწყრომის ცეცხლით მოსილნი
 ტრიბუნის ცაზე ავიდენ მეფერად.
 და ის ტრიბუნა შეღებილი წითელი სისხლით
 იქცა სამსხვერპლოდ.
 ო, რა გმირები დაიღუპენ, ამხანაგებო!
 დღეს—საპყრობილე, ხეალ—ქატორლა და უცხოეთი,
 და ეშაფოტი საბედისწერო.
 მკაცრი ჯალათი, საშინელი, უგულო მხეცი
 ლესავდა მახვილს,
 მაგრამ გმირების გადაკეტილ ბაგეებიდან
 არ მოისმოდა არც ერთი კვნესა.
 დალიეს თასი სასიკვდილო მაღალ სვეტებზე
 აღორძინების სახრჩობელაზე.
 რევოლიუციას უმღერიან ქება-დიდებას
 მუდამ ამაყნი, შეუდრეკელნი.
 ო, რა გმირები დაიხოცენ, ამხანაგებო!
 თავისუფლების უძლეველნო, დიდი მებრძოლნო!
 თავგამეტებით
 ქუჩა, ქარხანა თქვენ შეღებეთ თქვენივე სისხლით,
 სკეტაჟი სისხლით.

ახა უგაზრდობა გაბედული თქვენს აღგილებზე
ჯას მედგარ სახით.

ახალგაზრდობა თქვენ გადადებს და თქვენი სისხლით,
დაღვრილი სისხლით, ის მაგრდება და იკვებება.

თქვენს უკვდავ სახელს ის ფიცულობს სამარადეამოდ,
თქვენით აძაყობს,


რომ კეშმარიტად შეასრულეთ გმირული ვალი,

თქვენ დაასრულეთ თქვენი გმირობა,

დაიხოცეთ, არ დაღუპულხართ.

აკოფ აკოფიანი.





1. Ա. Շայմօնի, 2. Ալ. Հայրարդյ 3. Գոռլեթօվո, 4. Մամագո Ածոհեցյօվո, 5. Ի. Ամորօն, 6. Կորլանօվո, 7. Օ. Ամորօն, 8. Կուստանէրօն, 9. Ազայիօն, 10. Ռազեզօն, 11. Ծասոն, 12. Եղզօն, 13. Թյշնե 14. Վեհորօվո, 15. Օ. Ճոշդանօվո, 16. Տ. Ճոշդան.



26 კომუნარი.



ს იყო ადერბეიჯანში, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში, 20 ენკენისთვეს, 1918 წელს.

ადერბეიჯანი რევოლუციონური, ადერბაიჯანი თავის დედაქალაქით ბაქოთი, მუდამ რევოლუციონურ მოძრაობას აღრმავებდა...

ადერბეიჯანი, ნავთის მრეწველობის მდიდარი წყარო, მუდამ ასი-ათასობით თავის გარშემო იკრებდა მუშებს. ბაქო, ეს ისტორიული ქალაქი კავკასიის მუშათა მოძრაობისა, 20 ენკენისთვეს 1918 წელს სისხლში ჩაიხრჩო.

ბაქო, რომელიც მუდამ დიდ იმედებს აძლევდა მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის განვითარებას, ბაქომ, რომელმაც პირველმა იხილა კავკასიში რევოლუციონური ძალა-უფლება ამ ხუთი წლის წინეთ, გასწირა მისი თავდადებული რევოლუციონური მოღვაწე 26 კომუნარი.

ბაქოს მუშათა და გლეხთა საბჭოს უკანასკნელ ისტორიული სხდომის დასრულებისას, 12 ენკენისთვეს, სახალხო კომისართა საბჭო იძულებული იყო დაეტოვებია ძალაუფლება და გადაეცა იგი ახალ მთავრობისათვის, რომელიც გამგრდა ბაქოში ინდოეთიდან და სპარსეთიდან მოსულ ინგლისის გენერალ ტიკ ჯონსონის ჯარების დახმარებით.

ამ გვარად ადერბეიჯანის მუშათა კლასს და გლეხებს



დაეპატრონა მუსავატელების მთავრობა. (მუსავატელები ადერბეიჯანის ნაციონალისტური პარტია იყო).

ადერბეიჯანში ამ დროს მყოფი კომუნისტური მთავრობა და ტუვევეს და ბაქოს ცნობილ ბილოვსკის ციხეში მთავრობის დაცვეს.

ამ გვარად კომუნისტები და ტუვევეს, მაგრამ მრავალი მათგანი მაინც სრულიად საიდუმლოდ და სხვა ლტოლვილებთან ერთად მივიღენ გემით ქ. ქრასნობორდსკში.

ამგვარად ადერბეიჯანში დაარსდა ახალი მთავრობა „ცენტრო-კასპის“ სახელშოდებით. ომდელმაც ინგლისელი ჯაშუშის კუნის მეთაურობით განიძრახა ყოფილ რევოლუციონურ მთავრობის წევრების დასჯა.

კომუნისტურ მთავრობაში იყვნენ ძველი რევოლუციონერები, ომდელებიც ბაქოს რევოლუციონურ პროლეტარიატს დიდ ხანს შედგრად მიუძღვდენ წინ:

სტეფანე შაუმიანი: კავკასიის მუშების მესაიდუმლე და, როგორც მას უწოდებენ მუშათა კლასის მტრები, „გაგვა-სიის ლენინი“. 1900 წლიდან იღებდა მონაწილეობას რევოლუციონურ მოძრაობაში. 1903 წლიდან ის იყო ბოლ-შევიკი, მარტის 1918 წლის გადატრიალების შემდეგ კი ბაქოს მთავრობის სააღხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

ალიოზა ჯაფარიძე: 1900 წლიდან რევოლუციონერი და საიდუმლო ორგანიზაციებში მომუშავე. ორგანიზატორი და ბაქოს პროფესიონალურ მოძრაობის საუკეთესო ხელმძღვანელი. უკანასკნელად ბაქოს მუშათა და გლეხთა საბოლოო თავმჯდომარე.

ზევინი: 1908 წლიდან რევოლუციონერი, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს შრომის სახალხო კომისარი.

მაშადი აზიზბეკოვი: 1900 წლიდან რევოლუციონერი, გამოსვლაში მხერვალ მონაწილე, ორგანიზატორი და თურქების პროლეტარიატის ერთად-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი. ბაქოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს თვალსაჩინო წევრი.

კორლანდი: კავკასიაში წითელ არმიის ბელალი. კავკა-
სიაში მეფის ნიკოლოზ II-ის თეთრი არმიის დამშლელი,
აღერბეიჯანის სამხედრო კომისარი.

განო ფიოლეოფი: ზეინკალი, რევოლუციაში 1900
წლიდან მონაწილე, ბოლშევკი 1903 წლიდან, სამთო-მად-
ნის მუშების პროფესიონალურ კავშირის დამაარსებელი ბა-
ქოში. სახალხო სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე ბაქოში და
სხვანი, რომელნიც ბაქოს რევოლუციონურ მოძრაობის საუ-
კეთესო წევრებიდ ითვლებოდენ. ქსენია: ამხ. ვეზიროვი, ამირო-
ვები, ავაკიანი, ბოგდანოვი, ბასინი, ოსეფიანი, ა. ბოკლანო-
ვი, კოსტონიანი და მიშნე და 10 კიდევ სხვა ამხანაგი.

აი, ეს ამხანაგები უველანი მივიდენ დილით აღრე გემი
„თურქი“-თ ქ. კრასნოვოდსკს. აქ უკვე პოლიციის თანადას-
წრებით შემოვიდა რამდენიმე შეიარაღებული ჯარის-კაცი
და დაუწყეს გემში მყოფთ ჩხრეკა.

ჩხრეკის შემდეგ დაატყვევეს ამხ. სტ. შაუმიანი, კორ-
ლანოვი, პეტროვი და პელუხინი. დატყვევების წინ ამხ. სტ.
შაუმიანს უნდოდა პეტროვსკის საბჭოსთვის შეეტყობინებია
მათ მიერ ბაქოდან წამოსვლა, მაგრამ ყარაულმა ამის ნება
არ დართო. ამვერად დატყვევებულები კრასნოვოდსკში მო-
თავსეს ციხეში ინგლისის განსაკუთრებული კომისარის ბრძა-
ნებით, დანარჩენები კი გემშე დასტოვეს მკაცრი ტყვეობის ქვეშ.

დილით აღრე ცახის კამერაში შევიდა ყარაულის წინამ-
ძოლი, კუნი და შეეკრთხა ტყვეებს:

— ვინ არის თქვენ შორის მთავარი კონისარი?

— ჩვენ ასეთი არა გვყავს.

— მაშ ვინ არის თქვენ შორის შაუმიანი?

სტ. შაუმიანმა პასუხი გასცა.

— აღექით!..

— მე ისედაც შემიძლია ლაპარაკი...

— განა თქვენ არ იცით, ვინ ვარ მე? მე კუნი ვარ. —
მე ვარ თქვენი ყარაულის წინამძღვალი.

ტყვეები მაშინ მიხვდენ, რომ მათი საქმე კვე გათა-
ვებული იყო.


იმ დღესვე, დამით 11 საათზე, მოვიდა ბაქოდან ტყვე-
ებით სავსე ერთი მატარებელი.

შკვე დამით დაწყო მუშაობა კუნოს ხელმძღვანელობით
და მთელი მატარებელი გადარჩეულ იქნა. რამდენიმე იმათ-
განი მოათავსეს იმ კამერაში, რომელშიც სტ. შაუმიანი და
ალ. ჯაფარიძე იყვნენ.

20 ენკენისთვეს დამით მატარებელი დაიძრა და მთელი
ჯგუფი 26 კომისრის სიმღერით გაცილდა ქ. კრასნოვოდ-
სკის სადგურს.

მატარებელი რამდენიმე ვერსის მანძილზე გაჩერდა, მიუ-
ვალ ადგილას, საცა ადამიანის ჭაჭანებაც არ იყო. ინგლისის
აგენტი კუნოს განკარგულებით მატარებლიდან 2-3 ჯგუფად
გამოყანილი 26 კომისარი შეიქნა ტყვიის სხვერპლი.

სიკვდილის წინ კომისრებს თავი ამაყად ეჭირათ და მათ
შესახებ გამოტანილ განაჩენა „გაუმარჯოს საერთაშორისო
რევოლუციას“ ძაბილით შეხვდენ.





•ლ. ჯაფარიძე,

26 კომუნარი

(ძეგლი)




აქო, გურგანი... და კომუნა მზეში ნაბანი.
ძეგლი აქლემთა ქარავნებით, უდაბნოდ კასპის...
ქვიშა, იურტა... და ციკლონის ცხელი საბანი,
გადაჭენება, ყიფინით,— უცხო მოდგმა სპის!..

ხერხემალ დამპალ სიძველეთა კივილი, ცერზე,
ყალყზე ამდგარი კოცონის აპრიალება;
ალმოდებული მხედრების სიცილი სერზე
და წითელ ფუნჯა დროშების აფრიალება!..

კედელი... ოყვია... დაფნის შტო და სისხლის რუები...
ძირს დაცემული მახვილი... აღვირ ავება...
აზარმაცები, რკინის ხელში, დამაყრუები,
ჯვარცმა... ტრიუმფი და მსოფლიოს აყირავება!

უირუზ ეთერის შეღება აწყვეტილ ნებით,
ახალ რომანზე ნამღერი ფოლადის ლექსი;
საუკუნეთა ნოტები აკვეთილ ვნებით
და კლავიშებზე აპიმნული ხმა 26.

სეზმან ერთაწმინდელი.



ბევრები მოკითხვას გითვლიან

(ესკიზი — 26 კომუნარის სახსოვრად).



ემოდგომის ღამე იყო, შავი და ბნელი ღამე.

მატარებელი მიდიოდა დაბნელებული. ასე გეგონებოდა, ქურდულიდ მიცურავსო, როგორც ბოროტ მომქედი და ხვნეშავდა ნელა, ნელა.

არც ერთი მოწამე! არც ერთი მოწამე!

წყვლიად უდაბნოში ქარი ზუზუნებდა, აშხრიალებდა ქვიშას და ბოროტის მომასწავებლად ჩურჩულობდა:

— გაჩუმდი!.. ოცდაექვსი კომუნარი მიჰყავთ სამუდამოდ, შორს!..

ხეპრე დარაჯები გაჩუმებული და გაქვავებული დგანან ბნელ ძეგლებივით და ელოდებიან ულმობელ ბრძანების.

მატარებელი მიდის მთელი ღამე და განთიალისას შიშველა უდაბნოში ჩერდება.

კარებს აღებენ და გამოჰყავთ ოცდაექვსი კომუნარი... ერთ წეთში საიდუმლოება მულავნდება, ისინი მოუყვანიათ დასახვრეტად...

— ამხანაგებო! — მოისმის წამოსადევი კომუნარის ხა. — ჩვენ ვკვდებით, მხოლოდ არ მოკვდება ჩვენი საქმე, კომუნა... და ოცდაექვსის მაგიერ მოვლენ ათასი და ექვსი...



— ვაშა, კომუნა! — ამაყად ყვირის ოცდაექვსი წმა, და ჯერ კი გვევ ჰაერი არ დაწყნარებულიყო, რომ მოისმა იმის უკან თოვების სროლა...

კვლავ სროლა. მერე დუმდება ყველაფერი...

რკინის გზის ახლო სადა/იაჯოდან მოდის მიამიტი და-
რაჯი, თოფების სროლის ხმით გამოღვიძებული.

— କା ମୁମ୍ବରାନା?..

მაგრამ პასუხის ნაცვლად იმას ხვდება თოფის წვერი.

— ესი՞ წაიყვანეთ იმათთან! — უბრძანებს ოფიცერი.

— არც ერთი მოწამე!.. გესმისთ?..

თავიდება ყოველიფერი...

ბარები მოძრაობენ, მარხავენ გვამებს, ფარავენ იმათი
სისხლით შეღებილ ქვაშას.

საიდუმლო სიჩუმეში ამოღის მზე, უყურებს ოცდაექვ-
სის საფლავს. ორი საუა ბუჩქი ირყევა...

შემოდგომის ქარი ზუზუნებს, მიაქვს შორს, შორს კო-
მუნარების უკანასკნელი სიტყვები...

* * *

გავიდენ წლები. დასრულდა სისხლისმღვრელი ბრძოლები, და ერთ დღეს პატარა ბორცვის წინ მოვიდა და გაჩერდა წითლებით მორთული გამარჯვებული ერთი მატარებელი.

ორთქლმაფალმა მრისხანედ დაიკივლა. მას ბანი მისკა
ძლიერი ხმაურობით ხალხის ძალისა:

— სალაში თქვენ, ამხანაგებო! აი, მოდიან ათასი და
ექვსი...

და ძლიერი ხევბისაგან ასე გვონია, ინძრევა წითელი წმინდა ბორცვი, სივრცება ოცდაექვსის საფლავი და ის თითქმის ბანს აძლევს კომუნისტებ ს ძლევა მოსილ ხმას:

— სალაში თქვენ, ამხანაგებო! მკვდრები მოკითხვას გით-
ვლიან...

III. კარაპეტიანი



პარიზის კომუნა.

I



დამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კი-
 დევ მოუწყობელია. თვითონ საფუძველი, რა-
 ზედაც იგი დამყარებულია, აშკარად ყალ-
 ბია, უსამართლო: უმრავლესობა მუდამ შრომობს, ოფლ-
 სა ჰრეის და შრომა არ უფასება, მაშინ როდესაც უმ-
 ცირებისა არაფერს იკეთებს და სხვისი ნაშრომით ბეღნიერად
 ცხოვრობს. ამას გრძნობს ხალხი, ეს ვერ მოუთმენია მას და
 აი, საუკუნეთა განმავლობაში, მუდამ იბრძის, ხშირად შეი-
 არალებული გამოსვლაც, ანუ, როგორც ამბობენ, „რევოლი-
 უცია მოუხდენია“, მაგრამ ყოველთვის ეს მოძრაობა გაბატო-
 ნებულთ იარაღით ჩაუქრიათ. მაგრამ ყველა საუკუნის მოძ-
 რაობათა შორის აღსანიშნავია პარიზელ მუშათა გამოსვლა
 1871 წ. ეს წელიშადი კაცობრიობის ისტორიაში ღირსშესა-
 ნიშნავია მით, რომ სწორედ ამ წელს პარიზის მუშებმა ხელთ
 იგდეს მართვა-გამგებლობა და ორი თვის განმავლობაში—18
 მარტიდან მოყოლებული 27 მაისამდე ისტორიაში პირველი
 ცდა მოახდინეს სახელმწიფო მოუწყოთ თავისუფალ შრომის
 ნიადაგზე. 27 მაისს მუშათა პარიზი სისხლის ტბად იქცა და შიგ
 ჩაახრჩეს მუშები, როგორც ამას ქვევითაც დავინახავთ, მაგ-
 რამ საქმე ხომ მათი დამარცხება არა, არამედ ის, რომ მათს
 დამარცხებას მთელი განათლებული კაცობრიობა გულისტკი-
 ვილით შეხვდა. თვითონ ჩვენშიაც კი, სადაც მეფის მათრახი
 სასტიკად სდევნილა ყოველგვარ თავისუფლებისადმი მისწრა-
 ფებას, პარიზის დამარცხების მექქვე დღეს აი რა ნაღვლიანი
 ფერადებით მოსთქვამს ჩვენი დიდი ილია:

„ტვირთ მძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
 დიდი დროშა დაიშალა...
 კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
 იგი დროშა დასცა დაბლა.
 კვლავ ეწამა მოყვასთათვის
 საოცარი იგი ერი,
 კვლავ დაიდგა დიდწამების
 მან გვირგვინი შვენიერი.
 კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
 წმინდა სისხლი წამებულის,
 კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
 ყოვლად მხსნელის სიყვარულის.“

და ბოლოს:

„კვლავ შეფერხდა ისტორია,
 განახლების შესდგენ ძალნი,
 და კვლავ დღესასწაულობენ
 გამარჯვებულნი მტარვალნი.“

ხედავთ, რას ამბობს ილია: „ისტორია შეფერხდაო!“
 კეშმარიტად, ასე სხარტულად დახასიათება ასეთი დიდი, მაგრამ,
 სამწუხაროდ, ხანმოკლე მოძრაობისა, როგორიც იყო პარიზის
 მუშების გამარჯვება და დამარცხება 1871 წ. იშვიათია მსო-
 ფლიო მწერლობაში. საგულისხმიეროა ისიც, რომ ილიამ აქ
 იწინასწარმეტყველა: ეს „დიდი საქმე“ კი არ მოისპო,
 მხოლოდ მისა ისტორია „შეფერხდაო“ და რომ მართლა ეს
 ასე იყო, ეს ვიცით იქიდან, რომ 46 წლის შემდეგ ის „დიდი საქ-
 მე“ კვლავ წამოდგა, გასწორდა წელში და, როგორც იცით,
 პარიზის მუშათა იღეალები ხორც შესხმული პკო 1917 წ. ოქ-
 ტომბრის რევოლუციიამ. აი, ამიტომ უფრო გვმართებს და-
 ხლოებით გავიცნოთ საკვირველი ამბავი ამ „დიდი საქმისა“.

II.

პარიზის მუშათა რევოლუცია 1871 წ., როგორც რუსე-
 თის ოქტომბრის რევოლუცია 1917 წ., მოჰყვა ომს. საფრან-
 გეთის ტახტზე იმ დროს იმპერატორი ნაპალეონ III იჯდა.
 იგი კარგად ხედავდა, რომ საზოგადოება უკმაყოფილო იყო,

როგორც მუშები, ისე წვრილი მესაკუთრენი აღმაცერად უყურებდენ მას და დღეს არ ხვალ მაინც რევოლუციით უპასუხებდენ. და აი, რომ ხალხი გაერთო და რევოლუციის აზრი ჩაეხში გასში, გერმანიას გამოუცხადა ომი, მაგრამ იმპერატორს ვერ უშველა „მამულიშვილურმა“ მოწოდებებმა: იგი ამ ომში სასტიკად დამარცხდა, გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა და ხამარცხვინო ზავზე ხელი მოაწერა.

იმპერატორის დამარცხებამ და ზავის საშინელმა პირობებმა ყველა ააშფოთა და აი 1870 წ., 4 ენკენისთვეს, რევოლუცია უსისხლოდ ჩატარდა, იმპერატორი ტახტიდან გადმოაგდეს და, როგორც წინად, საფრანგეთი ისევ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

უბედურება ის იყო, რომ მუშებს იმ დროს არ ჰქონდათ ორგანიზაცია და არც კავშირი ლონდონში არსებულ ფარულ ეგრედ წოდებულ „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობასთან“, ანუ როგორც ამბობენ, „პირველ ინტერნაციონალთან“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარქსი.

ამიტომაც დროებით მთავრობაში მუშებიც შევიდენ, მაგრამ იმავე ღროს ხალხის ისეთი უღირდესი მტრები, როგორიც იყვნენ ფაბრი, გენა, ტრაშნიუ და სხვ. აი, ამათი წყალობით ხალხს თავს მოახვიეს ახალი ომი, ვითომც სამაგისტროს გადასახდელად. ამიტომაც ამ მთავრობას უწოდეს „ეროვნულ თავდაცვის“ მთავრობა. მაგრამ საქმის ვითარებას ლამაზმა სახელწოდებამ ვერ უშველა. დროებითმა მთავრობამ სასწაული ვერ მოახდინა და გერმანიის ჯარებმა რკინის მუხრუჭები რომ მოუჭირეს, „ეროვნულ თავდაცვის“ მთავრობა „ეროვნულ მოლალატედ“ გადაიქცა, გერმანიის სარდლობასთან ფარული მოლაპარაკება გამართა: ყოველგვარ პირობებზე ხელს მოვიწერთ, ოღონდ დროებითი მთავრობა ჩამოაგდეთ და მუშები დააწყნარეთ. გერმანიის მთავრობაშ ჩინებულად შეასრულა დანაპირები.

მუშები კარგად ხედავდენ, რომ მთავრობა ღალატის გზას დაადგა. რამდენჯერმე სუადა მისი გადმოგდება, რომ წმინდა მუშერი მთავრობა შეედგინა, მაგრამ ყოველთვის დამარცხებული გამოვიდა. გერმანელები დაეხმარენ, მუშათა კლუ-



ბები დაკუტინეს, დახურეს მუშათა გაზეთები, ხოლო მუშათა მესვეურნი დაპატმრეს. შემდეგ გერმანელებმა ზავის უსაშინელესი პირობები წარმოადგინეს. ვინაიდან ხელის მოწერა „კანონიერი გზით“ უნდოდათ მოეწყოთ, მოელოდენ დამფუძნებელ კრებას, რომელიც მოხდა ვერსალში.

დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა გავიდა გლეხები-დან, მემავულეები, მეფის მომხრენი, ერთი სიტყვით, ყველა ჯურის შავრაზმელი, რომელნიც ომებისგან თავმობეზრებულნი იყვნენ, რის გამოც იმის წინააღმდეგ უნდოდათ ხმის მიცემა. უმრავლესობა მონარქიის მსურველი იყო. ამათ სათავეში ჩაუდგა პიროვნება უჭიველად გენიოსი, მაგრამ სისხლით დაუმთვრალი, სასტიკი ხელმძღვანელი—ტიერი, რომელმაც შეაღინა შესაფერი მთავრობა ვერსალისა და პარიზისას დაუპირისპირა. აი, ამ ბოროტმა ვენიოსმა მოისურვა ალაგვა პარიზის პროლეტარიატის და პირველი ბრძანება, რაც ვერსალის კრების სახელით გასცა 17 მარტს, ის იყო, რომ პარიზის გვარდიისთვის აეყარათ იარაღი და თვითონ ის ზარბაზნებიც კი ჩამოერთმიათ, რომლებიც მუშებმა საკუთარი ძალ-ლონით ჩამოასხეს. მაგრამ ტიერს ნახტომი შეეშალა. მისი ჯარები თვითვე აუჯანყდენ, დახოცეს თავისი გენერლები და ნაწილი პარიზის მხარეზე გადავიდა. პარიზში ამ დროს კიდევ ერთი ამბავი ასტეხს ქალებმა, თვით ნორჩი თაობაც კი გამოვიდა, რომ ტიერის გენერლების ტყვიების-თვის თამამად გული მიეშვირათ. ტიერს უნებურად მოუხდა პარიზიდან გაქცევა და კვლავ ვერსალში ჩაკეტვა. ასე რომ პარიზის გამარჯვება სრული იყო. 18 მარტს, 1871 წ. პარიზი ყოველგვარ მთავრობისგან თავისუფალი იყო. ტიერმა თავი ვერსალს შეაფარა და ფეხი მოიმაგრა. სამაგიეროდ, მთელი შავი ძალები აამოქმედა, რომ ვერსალის კრების გარეშე კიდევ სხვა მთავრობა არ ყოფილიყო. ტიერს უნდოდა პარიზის მუშები გაენადგურებია, მაგრამ საამისო ჯარები არა ჰყავდა. და აი ვიდრე ამ ძალებს მოიკრებდა, მთელი ფარული ძალონე იმას შეალია, რომ პარიზისთვის ნება არ მიეცა საარჩევნო ახალ საფუძვლებზე მუშური მთავრობა შეეღვინა. ამ მიზნით ტიერმა უბრძანა ყველა რაიონის უფროსებს, რომ



არჩევნები შეეგვიანებიათ, ან და მთლად ჩამოათ. შიგ პარიზშივე რამდენჯერმე ამბოხება მოუხდინა ბურჟუაზის მხრივ, მაგრამ მუშები ფხიზლობდენ და ყოველ გამოსვლებს სათავეში ჰქონდება.

დამტრთხალი მდიდრები რევოლიუციის ქარცეცხლს გაექცენ, პარიზი დაცარიელდა. ამიტომაც დანიშნულ დროის არჩევნებზე მხოლოდ მუშებმა მისცეს ხმა. ასე რომ ახალი მთავრობა თითქმის მთლად მუშებისგან შედგებოდა. მაგრამ ტიერის ბოროტმა გენიამ კიდევ მოახერხა, რომ მდიდარ უბნებს სახალხო რევოლიუციონერებისა და სოციალისტების სახით გაყიდველები გაეყვანათ. ამავე მთავრობაში შევიდენ ინტელიგენცია და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, რომელთა შორის დიდი როლი ითამაშეს ვალიანმა, ბელემ, დელეკლიუზმა, რაულ რიგომ და სხვებმა. მუშათა წარმომადგენლებიდან 13 კაცი ერთა საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის წევრებისა ანუ, როგორც ვთქვით, პირველი ინტერნაციონალისა, რომელთაც მოწამეობრივი სიცოცხლის განწირვით საკაცობრიო ისტორიაში უკვდავების სახელი მოიხვეჭეს. მათ შორის ალსანიშნავი არიან: ვარლენი, მელიკ, ტეზი, პენდი, დიუვალი, სონვიე და სხვ. 28 მარტს მუშათა ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ახალს მთავრობას გადასცა მართვა-გამგეობის ძალა-უფლება, ამავე დღეს პირველად გამოცხადებულ იქმნა კომუნა.

რა გააკეთა ამ კომუნამ?

უნდა ითქვას, რომ გაკეთებით ძალიან ცოტა გააკეთა. ამის მიზეზი მრავალი რამ იყო. ჯერ იყო და ტიერმა ძეველი მთავრობის მოხელეები ქურდებისა და ავაზაკების ბრძოდ გადაჯიცა: ვერსალში გაქცევის დროს მათ მთელი პარიზი დაცარიელეს და რის შალებაც ვერ მოასწრეს, ადგილობრივ გადამალეს, ასე რომ უბრალო ცნობების მიღება არც ერთი დაწესებულებიდან არ შეიძლებოდა. ახალი მთავრობა ყოველიფერს თკითონ იწყობდა, ისიც საკუთარი ხელით, რადგანაც მომუშავენი არა ჩანდენ. დიდ თანამდებობაზე აყენებდენ უმეტეს წილად ისეთ ადამიანებს, ვისაც მთელი სიცოცხლე პოლიტიკისთვის შეეწირათ, და, მაშასადამე, სა-

კანცელარიით მუშაობისთვის ვერ გამოდგებოდენ, ან და ახალ-
გაზღიუბას აძლევდენ ადგილებს, რომელთაც ჯერ კიდევ
ორგანიზაციული მუშაობისა არა იცოდენ რა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ კომიუნარებს არ ახასია-
თებდა ერთსულოვნობა. ჩვენ ხომ გვახსოვს, რომ ტიტორმა
აქაც მოახერხა თავისიანების გაყვანა. ამიტომაც კომიუნართა
მოქმედებაში არა ჩანს მთლიანობა, გარკვეული გეზი მოქმე-
დებისა, გარკვეული პროგრამა. მათ მიერ გამოცხადებულ მა-
ნიფესტშიც ბევრი რამ არის ბუნდოვანი და ერთი მეორეს მო-
წინააღმდეგე მუხლი. ყველა ამას თუ გავითვალისწინებთ, ბუ-
ნებრივ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ, თუ კომიუნა მალე ორ
ზანაკად გაიყოფებოდა, რომელნიც საუკეთესო დროს ერთურთ-
თან ბრძოლასა და ქიშხობას ანდომებდენ. ერთი ბანაკი,
რომელიც უმრავლესობისგან შედგებოდა (წვრილ მესაკუთ-
რებიდან და ინტელიგენციიდან) კმაყოფილდებოდა რესპუბ-
ლიკის დარსებით, რომ საფრანგეთი თემთა ანუ კომიუნათა
კავშირი გამხდარიყო; მეორე ბანაკი სხვა გზას ადგა: თავი
მოეყარათ გამოცდილ მუშებს და მოითხოვდენ არა მარტო
პოლიტიკურ რევოლუციის, არა მარტო კომიუნილურს (სა-
თვე ნიადაგზე), არამედ სოციალურსაც, ესე-ივი, ისეთს,
რომელიც ასებულ ბურჟუაზიულ ცხოვრებას შესცვლიდა არ-
სებითად და მას დაამყარებდა სახელმწიფო შრომის ნააღმდე-
თქმა არ უნდა, ასეთი უთანხმოება და სხვადასხვაობა ერთ-
სულოვნობას შეაფერხებდა და მტერს გამარჯვების საშუალე-
ბას მისცემდა.

IV.

პარიზის კომიუნის მუშაობის შეფერხება და ფრთის გაუშ-
ლელობა კიდევ ერთმა გარემოებამაც გამოიწვია: საქმე ისა,
რომ მთელ საფრანგეთში მარტო პარიზმა ამოიღო ხმა და
მხოლოდ მან ერთმა გადასუგა ასეთი გაბეჭული ნაბიჯი. მარ-
თალია, ზოგიერთმა ქალაქმა სკადა მაგალითის გადაღება (მარ-
სელში, ლიონში, ნარბონში), მაგრამ იქ მუშათა სიმკირისა
და უორგანიზაციობის გამო ტიტოს ჯალათებმა ხელიდ ჩააქ-
რეს მოძრაობა. პარიზი მოწყვეტილი დარჩა, ასე რომ როცა



კომუნას ვამბობთ, იქ მხოლოდ პარიზი იგულისხმება, აქედან წარმოიშვა თვით სახელწოდებაც: პარიზის კომუნა.

პარიზისა და პროვინციასთან ურთიერთობის ჩატეხას ხელი შეუწყეს გერმანიის ჯარებმაც, რომლებიც ფოლადის სალტასავით ერტყენ ქალაქს. მართლია, ესენი თითქოს პარიზის შინაურ ცხოვრებაში არ ერეოდენ, მაგრამ ისიც მართლია, რომ სამშობლოს გამყიდველ ტიერთან და გაქცეულ წთავრობასთან კავშირს არა სწყვეტდენ და მათი კარნახით ათამაშებდენ ვერსალიდან გამოშვებულ ტიერის ბანდებს საბედისწერო იერიშების გასაკეთებლად. პარიზის კომუნა ფოლადის ალყას ვერა ჰვლეჯდა, უპრივინციოდ კი სული ეხუთებოდა.

თვის ხანმოკლე არსებობაში კომუნამ ცოტა რამე მაინც მოახერხა, რის აღნუსხვაც მეტი არ უნდა იყოს: კომუნამ მეტისმეტად გაამარტივა სახელმწიფო მართვა-გამგებლობის წესი; შეამოკლა მოხელეთა და მუქითახორათა რიცხვი; გააუქმა დიუ-დიდი ჯამაგირები; თვით პასუხისმგებელი კომუნარები მხოლოდ დღიურ მუშის ხელფასს იღებდენ; გამოსცა საგანგებო დადგენილება ანუ დეკრეტი ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთმანეთიდან დაშორების შესახებ; სწავლა-განათლება სასულიეროდან საეროდ გამოაცხადა; ყველი შხრით ციდილობდა მშრომელთა და წვრილ მესაკუთრეთა მდგომარეობა და ცხოვრების პირობები გაეუძღვოდესებია; საგანგებო ბრძანებითვე აღკრძალეს მუშების ღამით მუშაობა და სხვ.

რა თქმა უნდა, ყველა ეს სოციალიზმიდან შორსაა, მით უმეტეს კომუნიზმიდან. სოციალიზმი გულისხმობს ყოველგვარ საკუთრების გაუქმებას, იქნება ეს სახლი, კარხანა, მიწა, ვენახი თუ სხვა რამ. პარიზის კომუნამ კი მსგავსი რამ ვერა მოახერხა რა, თვით პარიზის ფარგლებშიაც კი, რომლის მთავრობად ის ითვლებოდა. ყველა ეს საკითხები მეტად მძიმედ მიაჩნდა. კომუნა მოკრძალებით მოქმედობდა, გარდამწყვეტ ნაბიჯებს ვერა სდგამდა, როგორც ეს 46 წლის შემდეგ ოქტომბრის რევოლუციის დროს სთქვა რუსეთმა. ერთადერთი, რაც აღსანიშნავია, როგორც სითამაშე, ეს არის

ის, რომ კომუნამ საერთაშორისო მუშათა მთავრობად გამო-
აცხადა თავი, რომელიც პარიზს მსოფლიო მუშათა რეპუ-
ბლიკას უწოდებს, და რომ კომუნის საერთაშორისო ხასია-
თი უფრო ნათელი ყოფილიყო, მან საგანვებო დადგენალე-
ბით ვანდომის მოედანზე დაანგრევინა მთელი საფრანგეთის
სიამაყე—ნაპალეონ I ბრინჯაოს ძეგლი, რომელიც ავებული
იყო როგორც სამხედრო დიდებისა, პატივ-მოყვარეობისა, სამ-
ხედრო ცარცვა-გლეჯისა და ხალხთა შორის შურისა და
მტრობის დამკანონებელი. „ეს ძეგლი,—ნათქვამია ბრძანება-
ში,—არის ძეგლი ბარბაროსობისა, ნიშანი ტლან ქი ძალმომ-
რეობისა და ყალბი დიდებისა, უარისყოფა საერთაშორისო
უფლებისა, მარადიული შეურაკებოფა გამარჯვებულთა მიერ
დამარცხებულებისა და მმობა-ერთობის დარღვევის ქადა-
გებისა... და ყველამ იცოდეს, რომ ის ძეგლები, რო-
მელთაც ამართავს კომუნა, არაოდეს ქება-დიდებით არ
მოიხსენიებს რომელიმე ისტორიულ ყაჩაღს, არამედ ამართულ
იქნებიან მიტომ, რომ შთამომავლობას ამცნონ დიადი გამარ-
ჯვებანი თავისუფლების მოსაპოვებელ ასპარეზზე.“

სიტყვას საქმე მოჰყავა: ძეგლი მოხსნილ იქმნა, ხოლო
ვანდომის მოედანს საერთაშორისო მოედნის სახელი ეწოდა.

V

პარიზის განმარტოება რამდენადაც სავალალო იყო კო-
მუნისათვის, იმდენად ხელსაყრელი გახდა ტიერისთვის, რო-
მელიც დაუღალავიდ მოქმედებდა, მთელ საფრანგეთში ღვდლე-
ბისა და დაქარავებულ ავიტატორების წყალობით ისეთ ხმებს
ავრცელებდა კომუნის შესახებ, თითქოს იგი ბარბაროსობის
სახიერება ყოფილიყოს. დაშინებული და მოტყუებული გლე-
ხობა მრავლად ეწერებოდა ტიერის ლაშქარში, არავითარ
დახმარებას არ აძლევდა პარიზს. პირიქით, შეთანხმებით ყვე-
ლა იმასა ცდილობდა, რომ პურის მიწოდების საშუალებაც
მოესპონ კომუნისთვის.

ტიერის ოქროთი მოსყიდული და საუკეთესოდ ნაკვები
ჯარი ნამდვილი თავზე ხელალებული აღამიანები იყვნენ. მათ
წინააღმდეგ კომუნარებმა დაიწყეს იერიშების მიტანა, მაგრამ

უკვე გვიან იყო. მათმა თავგანწირულებამ და საოცარმა სიმა-
მაცემ კერ იხსნა კომუნა დაღუპვისაგან: ვერსალის ლაშქარი
შეუწყვეტლივ მოღიოდა და მოღიოდა. რიგრიგად ეცემოდა
პარიზის სიმაგრენი. 21 ვაისს მოღალატის ხელმა საიდუმლოდ
გააღო პარიზის კარი და საშუალება მისცა ტიერს ისე მოუ-
ლოდნელად თავს დასხმოდა კომუნარებს, რომ გონიერ ვერც-
კი მოსულიყნენ. და, მართლაც, სწორედ იმ დროს, როდე-
საც ტიერი პარიზში შემოღიოდა, ტიულინერის პარკში მრა-
ვალრიცხვანი ხალხი დაჭრილ კომუნართა სასარგებლოდ
გამართულ კონცერტს ისმენდა, კომუნა კიდევ მორიგ სხდო-
მას აწარმოებდა.

როცა თეთრგვარდიელები პარიზის ქუჩებში შეიტრენ,
კომუნა სწრაფად ფეხზე დადგა და დაუყოვნებლივ ბარიკადები
მოაწყო. მთელი ერთი კვირა გაგრძელდა უმაგალითო ბრძო-
ლა. კომუნარები იბრძოდენ ყოველი სახლიდან, სარდაფიდან,
ვიდრე უკანასკნელი ტყვია არ შემოხხარჯებოდათ. იხოცებო-
დენ კომუნარები, მაგრამ პარიზის კედლებთან ყოველ დაცემის
დროს მათი უკანასკნელი სიტყვა იყო:

— გა-მარჯოს კაცობრიობას! გაუმარჯოს კომუნას!

ამ საშინელ ბრძოლის დროს მამაკაცებზე არა ნაკლებ სა-
სწაულებს ახდენდენ ქალები, განსაკუთრებით კი ახალგაზრ-
დობა. არაა ისტორიკოსი, რომელიც ახალგაზრდობის მამა-
ცობას და სასწაულებს არ ასწერდეს. აი, სხვათაშორის ერთი
პირუთვნელი ისტორიკოსი, ლისაგრე, როგორ აგვიწერს გძნო-
ბიერ ახალგაზრდობის ვაჟეაცობას:

„შატო დოს მახლობლად ბარიკადზე დაეცა 18 წლის
ჭაბუკი, რომელსაც ხელთ ეპყრა აფრიალებული დროშა. ყმა-
წვილი დაეცა, მაგრამ მის აღვილს გაჩნდა მეორე, დასტაცა
დროში ხელი და ხელახლა ააფრიალა. ამასც ტყვია უგმი-
რავს შუბლს. ადის მესამე, მეოთხე და ასე დაუსრულებლივ,
თითქოს ბარიკადა მოჯადოებულია და ოვითვე ქმნის ცოც-
ხალ არსებათაო. აი, ადის ახალგაზრდა გოგონა, მეზღვაურის
ტანისამოსით, აკვერებული ლოკებით და კოხტად გაშლილი
ნაწნავებით... ულმობელი ტყვია ამასც შუბლს უხვრიტავს და

მასთან ერთად სპობს მთელს მის ახალგაზრდურ ოცნებებს და კეთილშობილურ გატაცებას...“

ძნელია ამ სურათის ბოლომდი მოყვანა. მაგრამ უკანას-კრელი სიტყვა ისტორიკოსისა რომ არ გავიხსენოთ, შეუძლებლად მიგვაჩინა. ნორჩი თაობის სიმამაცით აღფრთვისანებული პარუთვნელი ისტორიკოსი დასძენს:

—უკვდავი იქნება პარიზი, თუ ყოველთვის ასეთი შვილელები წამოეზარდა.“

როგორ მოექცა ტიერი დამარცხებული? სწორედ ისე, როგორც შემფერის ბარბაროს გამარჯვებული: „ვაი, დამარხებული!“ იმ საშინელ ხელჩართულ ომს ვინც ცოცხალი გადარჩა, დაუსჯელი არვინ დარჩენილა. საველე სასამართლო სამ კითხვას აძლევდა: „იყავით კომუნაში? იბრძოდით ჩვენს წინააღმდეგ? რატომ ჩვენთან არ მოდიოდით?“ და პასუხს აღარ მოელოდენ: ერთი კარიღან მეორეში გამჟავდათ და კედელთან ხვრეტდენ გასისხლიანებული ჯალათები. მარტო პირველ დღეს დახვრეტილ იქმნა 38000 კომუნარი განურჩევლად სქესისა და ასაკისა. 40 ათასამდე დაპატიმრეს და ბნელ სარდაფებში ჩაჰყარეს, ხოლო 30 ათას კაცამდე ახალ კალედონიაში იქნენ გადასახლებული.

უმაგალითო სისხლის ღვრის მეორე დღეს პარიზის გაზეთები დაკაინვით ასწერდენ: აი, ასეთი ყაჩაღებისაგან ვისენით საფრანგეთი და მასთან მთელი კაცობრიობაო. არ იყო არც ერთი გაზეთი, რომელსაც საზიზლარი ცილის წავებით არ მოეთხროს კომუნართა თავგანწირულება. მხოლოდ ბნელ სარდაფებში დაკეტილი, დაჭრილი და გადამალული კომუნარები მოწიწებით სწერდენ საშინელების მუმუარებს. აღსანიშნავია, რომ თვითეული მათგანი ასეთი მოწიწებით იწყებდა კომუნის ისტორიას: „რომ სცნონ სიმართლე“....

ასე დაიღუპა პარიზის კომუნა, რომელმაც ვერ მოასწრო გაფურჩქვნა და აყვავება. დაიღუპა კომუნა და, მართლაც, იღიას თქმის არ იყოს,

„კვლავ შეფერხდა ისტორია,
 განახლების შესდგენ ძალი...“

მართალია, „შეფერხდა ისტორია,“ მართალია ისიც,
 რომ „განახლების შესდგენ ძალნი“, მაგრამ არა სამუდამოდ
 დასაღუმებლად, არამედ ძალოონის მოსაკრებად, „უკანასკნე-
 ლი“ ნახტომის გასაკეთებლად. და ეს „უკანასკნელი ბრძო-
 ლის“ ხმა, როგორც ზემდაც ვსთქვით, გაისმა პარიზის კო-
 მუნის დამარცხების 46 წლის შემდეგ, რუსეთში ოქუმბრის
 უუდიდესი და გარდამწყვეტი რევოლიუციის დროს...

დ. კასრაძე.




ნატახტარის საიდუმლო.

VII.

განთიადზე წამოდგა ლოგინიდან ყარამანი. გავიდა ეზოში, დაიბანა ხელ-პირი და შეუდგა სამზაღისს. სანამ ძმად ნაფიცებს გამოელვიძებოდათ, მან შეკრიბა საჭირო ხელსაწყო, ჩადგა ხურჯინში და აჰკიდა ვირს. გარდა ჩვეულებრივი იარაღისა, რაც ყოველთვის დაჰქონდათ ხოლმე სამუშაოზე, მან ორი პატარა ლომიც გადასდგა კეხზე ვირს, რომელიც დატვირთული იქვე მიუშვა საძოვრად. მერმე შევიდა სტუმრების ოთახში და გააღვიძა ისინი.

სახელდახელოდ ისაუზმეს და სწრაფად გაუდგენ გზას ნატახტისკენ.





მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული. როცა მეგობრები ნატახტარზე ავიდენ და ჭის თავს მიუახლოვდენ.

პირველი იოთამი მიგარდა საიღმღმლო გვირაბის თავს. მაგრამ მისგან ორიოდე ნაბიჯის მანძილზე შედგა უცბად და ხელის გული ყურზე მიიფარა. ვერ მოასწრო რამე ეთქვა, რომ დანარჩენებიც დაუახლოვდენ მას. ოთარსა და თორნიკეს იგივე დაემართა, რაც იოთამს. სამსავე ძმად ნაფიცს ერთნაირი სახის გამომეტყველება ჰქონდათ და ერთნაირად იყვნენ გაკვირვებულნი.

— მართლა, რა უცნაური ხმა გამოდის! — გამოერკვა დანარჩენებზე უფრო აღრე ითარი, რომელსაც ახლა სახეზე ლიმილი უთამაშებდა და სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა.

— სწორედ უცნაური ხმაა! — დაადასტურა თორნიკემ სერიოზულად.

— უცნაური?! — შეეკითხა მეგობრებს იოთამ. მას შიშურეული გაკვირვება ჯერ კიდევ არ მოშორებოდა. — უცნაურით, ამბობთ თქვენ?.. მე კი მგონია, ყარამანი თავიდან ბოლომდის მართალია, და მისი აზრი სრულიად გამართლებული! ეს ხმა სწორედ იქიდან არის! — ეს „იქიდან“ ისე წარმოსთქვა, იოთამმა, თითქო ყარამანის საიღმღმლოებათა საცავი მისთვის ნაცნობი ყოფილიყო.

როცა კი მეგობრები მოვიდენ ჭასთან და შიგ ჩაიხედეს, დიდ ხანს უცქეროდენ ისინი უსიტყვილ ერთმანეთს. ყარამანი კიდევ გახარებული სახით მოღიმარი შესცქეროდა თავის მეგობრებს.

— „უთუოდ ამათაც იგივე ენიშნებათ, რაც მე მენიშნა“, ამბობდა იგი გულში და წინასწარ განიცდიდა გამარჯვების სიხარულს.

დიდ ხანს უსმენდენ ოთხივე საიღმღმლო ხმას. მერმე ყარამანმა მოჰკიდა ხელი თოქს და მოხსნა იგი კლდეს.

— აი, მეოცდახუთე ადლზე რაც მოხდეს, იმას კარგად დააკვირდით! — სთქვა მა და თოკი ცოტაზე ჩაუშვა ჭაში და მერმე ამოსწია. შეინძლო თოკი, თითქო ვიღამაც შეაქანაო და უმალვე მიწყდა ხმა, რომელიც თვალისდახამებაზე ისევ გაისმა.

— მე ვამბობ,—ბეჯითად განაცხადა ყარამანმა,—რომ სწორედ იმ აღვილას ქვა უხაევს მეორე ქხისკენ, ხოლო იგი არ არის ის მიმართულება, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. იქვე უნდა იყოს სხვა გზა, რომლითაც ხმა მიმდინარეობს. მე მგონია, იგი ძალიან იწრო უნდა იყოს და პორიზონტალურად უნდა მიღიოდეს. ყოველ შემთხვევაში დროა ჩავიდეთ და გნახოთ!—ამ სიტყვებით ამოსწია, თოკი და ქვაც ამოილო.

— პირველად მე ჩავალ, მეგობრებო! თუ სავალი კარგი იქნა, დაგიძინებოთ და თქვენ მომყევით.—უთხრა ყარამანმა მეგობრებს

— ეს შეუძლებელია! ყველანი უნდა ჩავიდეთ!—განაცხადა პორტესტი ოთარმა.

— ასეთია ჩვენი წესი, ბიძია ყარამან! — სთქვა იოთამმაც.

— სხვანაირიდ არ იქნება! — დასრულა თორნიკემ.

დასთანხმდა ყარამანი. გასხნეს ხურჯინი და ხელსაწყო ამოალაგეს. ფარნები აანთეს. რკინის წვეტიანი მოკლე ჯოხებით შეიარაღდენ. აიღეს თოკი, მოაცილეს ქვა და წელზე შემოირტყეს ერთი თავიზან რიგ-რიგად: ჯერ ყარამანმა, შერჩე თორნიკემ, შემდეგ თოარმა და სულ ბოლოს იოთამმა. მეორე თავი კი მაგრად მიბეს იქვე ამართულ კლდეზე გარშემო რამდენჯერმე შემოვლებით. ყარამანმა ხელში დაიჭირა ერთი ფარანი, მეორე იოთამს მისცა, ლომი კი თორნიკეს ხვდა.

— მე მგონია, ჯერ დავათვალიეროთ მხოლოდ გვირაბი და დაახლოებით გამოვარკვიოთ, რა დაგვჭირდება! ლომი იქნება, არ იქნეს საჭირო და რად დავიმმიმოთ თავი! — სთქვა თოარმა. — ახლა ფარნების შეტი არაფერი არ გვინდა ჩემი აზრით!

— მართოლია! — სთქვეს თორნიკემ და იოთამმა. ამაზე ყარამანიც დასთანხმდა და ლომი დანარჩენ ხელსაწყოს მიუმატეს ისევ.

— მაშ, ჯერ მხოლოდ დაზვერვა იყოს!.. — მხიარულად სთქვა ყარამანმა და პირველმა ჩადგა ფეხი ჭის თავში.

მალე მთელი ტანით ჩავიდა იგი გვირაბში. ორი-სამი ნაბიჯის სილრმეზე გვირაბის კედელზე ფეხის მისადგამის შეთხრა არ დასჭირებია. ქვიანი იყო გვირაბის დასაწყისი. ეს გა-

რემოვბა აუშვა კიდევაც მეგობრებს, რომლებიც რიგ რიგად მოსდევდენ ერთმანეთს და ასე ჩადიოდენ ჭაში. ყარამანი წინ მიდიოდა და, სადაც საჭირო იყო, საფეხურებს სთხრიდა კედელში ჯოხით და თითოეულ შემთხვევაში აცნობებდა თორნიფეს, რომელიც აუშვებდა ოთარს, ეს კიდევ იოთამს გადასცემდა: საფეხურია შეთხრილი და არ ასცდეო.

კარგა ხანს იარეს მშვიდობით. ყარამანს სულ იქითკენ ეჭირა გულისყური, სადაც უნდა ყოფილიყო მეოცდახუთე აღლის სიღრმე, რომ იქ შემდგარიყო. ამისთვის ყოველ ჩადგმულ ნაბიჯს ანგარიშობდა. ისიც იყო მიუხსლოვდა ამ აღგილს და გააფრთხილა კიდეც მეგობრები. აქ უფრო მეაფიოდ ესმოდათ ჩამაგალი ხმა. მაკარაშ უცებ, როცა ყარამანმა მეოცდახუთე ნაბიჯი მოიცვალა, იგრძნო, რომ რაღაცამ შეაქანა, ვერ მოასწრო თავის შემაგრება, მოუსხლტა საფეხურში შედგმული ფეხი და დაქანდა ძირს. ის-ლა მოასწრო, რომ დაიყვირა:

— 'მესდიქით! მაგრად! — და მიეჯახა ძირს კედელს, რომლის ხაზი ამ აღვილს სამხრეთისკენ უწვევდა. აქვე გაკვირვებით შენიშნა ყარამანმა, რომ ხმა უკვე ალარ ესმოდა. საშინლად ვაარცა ამ გარემოებამ. ამისთვის არ ეცალა გადაჩეხილს, მაგრამ შევნების რომელსაღაც სიღრმეში კიდევაც ეწყინა და კიდევაც გაუხარდა ეს. „სწორია ჩემი მიხვედრა“, ჩაესახა მას თავში.

— მაგრად დადექით! ყარამანი გადიჩხა! იყვირა ამ დროს თორნიფემ და მთელი ძალობრით მიაქიდა ფეხები საფეხურებს.

— გამაგრდი! — გაისმა ახლა ოთარის ხმა, რომელსაც იმავე წამს იოთამისამ უპასუხა:

— არ შეშინდეთ!

ყარამანმა ფეხი ვერ მოიმაგრა იმ აღვილზე სადაც დაეცა. კედლის ხაზი აქაც დაქანებული იყო, მაგრამ მხოლოდ არა პირდაპირად, როგორც აქამდის. ვერც ხელები მოჰკიდა ყარამანმა რასმე. თუ არა თოვკი, სულ ბოლომდის ჩაიჩეხებოდა. იგი ვრჩნობდა, რომ ნეგობრებზე იყო დაკიდებული. თავში გაუელვა, რომ თუ თავს ვერ შეიმაგრებდა და ვერ დადგებოდა, მათაც გადაჩეხავდა. ამის მოაზრების უმაღვე წავლონ ხელი მობმულ თოვს და შეხსნა დაუშვა.

— ცოტა ხანს გამაგრდით, მეგობრებო! ცოტა ხანს! — ყვიროდა იგი და თოქს იხსნიდა.— აქეთ სვლა საჭირო აღარ არის... მანდ დარჩით!.. ხმა მეოცდაზუთე აღლზე წყდება... სამუშაო იქ არის!.. — ეს სოქვა და თოკიც გახსნა. განსხის-თანავე დაქანდა ძირს.

— მოგჯა ყარამანი!.. ყარამანი თოქს მოგჯა! — იყვირა თორნიკებ, რომელმაც პირველზა იგრძნო ყარამანის სიმძიმისაგან გათავისუფლება.

— დაიღუპა ყარა-
მანი!.. — გაისმა ოთა-
რის შეშიხებული ხმა.

— არ შეშინდეთ,
ხალხო! — დაჰყვირო-
და ზემოდან იოთამი
ბეგობრებს.

ქმაღ ნაფიცებმა
არ იცოდენ, რა
ექნათ.

ყარამანი კი მოს-
რიალებედაძირს სწრა-
ფად დაქანე ული. ქა-
მარზე დაკიდებული
ფარანი დაქრობოდა.
ჯოხი ეჭირა ხელში
და ცდილობდა, შე-
ერქო იგი სადმე მო-
ხერხებულიდ და მით
თავი შეემაგრებინა.
მაგრამ იწროებში ვერ
მოხერხებინა. ისიც
იყო შეურიგდა ბედს
და იმაზე ფიქრობდა,
რომ მსუმბუქად და-
ცემულიყო ძირს, მე-



ორე ეხის იატაკზე, რომ მოულოდნელად გადატყდა დაქანების ხაზი და ყარამანის სკომ სხვა მიმართულება მიიღო. ახლა აქ ქარმაც შემობერა, აზრის დატრიალება ვერ მოასწრო, რათა გამორკვეულიყო, რომ მთელი ტანით რაღაცა მაგარს ზედ პირდაპირ შეეჯახა. უმაღვე გაირღვა ეს მაგარი. თითქმ კარი გაღებულიყო, და სინათლე ეცა ყარამანს თვალებში. იმავე წამს სწორ მიწაზე ბრაგვანი მოაღინა მან. მყისვე მოესმა, რომ კარი ისევ შრიალით დაიხურა.

თავი წამოსწია. მიიხედ-მოიხედა. თუმცა მთელი ტანი სტკიფოდა და ერთიანად დაგლეჯილიყით გრძნობდა თავს, მაგრამ ცნობა მაინც უჭრიდა და ერთი მიხედვ-მოხედვისთანავე ჩაილაპარაკა:

— ეხი ნუმერი პირველი!

ახლა ზევით ქერზე აიხედა. „ნეტავი მართლა თუ დაისური გარღვეული ქერიო“· ქერი მართლა დახურული აღმოჩნდა და არ ეტყობოდა სრულიად, რომ მასზე კარი ან სარკმელი რამ ყოფილიყო.

ყარამანმა ისევ დახარა თავი და ასე დარჩა უძრავად.

VIII.

ძმად ნაფიცი ყმაწვილები მცირე ხანს დაიბნენ, მაგრამ მალე გამოერკვიენ. ოთარის წინადადება იყო გზის გაგრძელება, რაც უნდა დამართოდათ მაინც.

— თოკი მაგრად არის მიბმული კლდეზე და არაფერი დაგვიშავდება, კიდევაც რომ გადავიჩხოთ. ოლონდ მაგრა უნდა ჩავკიდოთ ხელები და წელზედაც კიდევ მაგრად შევნასკვოთ.—ამბობდა იგი, როცა იოთამი რამდენსამე ნაბიჯზე დაეშვა ძირს ანთებული ფარნით, ხოლო თორნიკე ცოტაზე ამოვიდა მაღლა და ამნაირად სამნივე ერთ აღვილას შეჯგუფდენ. ყველა თანახმა იყო ოთარის წინადადებისა. ყარამანის მიერ მიტოვებული თოკის ნაწილიც მოიზიდეს და ისიც შემოირტყეს წელზე, იოთამმა ფარანი გადასცა თორნიკეს, რომელიც პარველი მიღიოდა, და ამ სახით ჩაეშვენ ძირს. ერთ-მანეთისავან ახლოს მიღიოდენ. ისე ფრთხილად სდგამდენ ნაბიჯს, რომ თუ არა გარეშე დაბრკოლება, სრულიად დაიმე-

დებულნი მიღიოდენ. თორნიკე გულმოლგინელ და აუჩქარებლად სთხოიდა ფეხის შესაღვამს კედელზე. მეგობრებს ახლა კარამანის ბედი ლა აინტერესებდათ.

სწორედ იმ აფილას, საღაც რაღამაც ყარამანი შეკანა და გადაიჩა, თორნიკესაც მოუსხლტა ფეხი. სრულიად მოულოდნელად შექანდა იგი და თავის შემაგრება ვერ მოასწრო, რომ ძირს ჩაქანდა და თოვზე დაეჭიდა.

ოთარი და იოთამი ყოველ შემთხვევისათვის მომზადებული იყვნენ.

— გამაგრდით! გადვიჩეხე! — იყვირა თორნიკემ და ფეხის ან ხელის მისაყრდნობელს დაუწყო ძებნა. ბედზე ფარანი არ გაპქრობია და ზემოდან მეგობრები ხედავდენ მის ლანცს!

— სრულია არაფერი გიჭირს, თორნიკე! ოღონდ არ შეგვენდეს და თოვს ჩასჭიდე ორივე ხელი! — ამხნ ევებდა მეგობარს ოთარი.

— ფრთხილად მანდ!.. იცოდეთ, რაღამაც შემაქანა და კედელს მომწყვიტა... იცით, აქ ხმა აღიარ ისმის!.. თქვენთან? — ეკითხებოდა თორნიკე მეგობრებს.

— ჩვენთან კი! ხალხო, როგორ სჯობია... ამოვიყვანოთ თორნიკე, თუ ჩვენც დავეშვათ? — ამბობდა ოთარი.

— შეჩერდეს რაზედმე მანდ თორნიკე და ჩვენ დავეშვათ! — ყვიროდა ზემოდან იოთამი. — გვირაბი ხომ გრძელდება და გადასახეჩი ხომ არა აქვს მანდ?

— გრძელდება... მაგრამ აქ უხვევს მცირეოდენ... კადასახეხი არ უნდა ჲყოს. კედელია ჩემს გარშემო! — აძლევდა პასუხს თორნიკე. ბოლოს მან ფეხის შესაღმელი იშოვნა. ისა რგებლა ამით და ჯოხით შესთხარა მცირეოდენ ერთი მხრით, მერე მეორე მხრით და დადგა.

— ყოჩაღ, თორნიკე! დადექი ხომ? — მოუწონა ოთარმა.

— კი! ახლა არა მიშავს!

— მაშ, ახლა შენ დაეშვი, ოთარ! მე აქ მაგრად ვარ და თუ გადაიჩეხე, ფიქრი ნუ გაქვს, დაგიჭერ სულ აღვილად! — უთხრა იოთამმა ოთარს.

— ოთარმა ჩადგა ნაბიჯი. მაგრამ შექანდა და ჩავარდა.

— ნუ გეშინია! — უმაღვე მიაყირა მას იოთამმა, რომელმაც იგრძნო ეს თოვის საშინელი და უცები დაჭიმვით.



ოთარს იმდენად არ გასჭირებია. თოკზე დაკიდებისთანავე იგი ერთი ფეხით სწოდა თორნიკეს მხარს, რომელზედაც შემაგრდა.

— დაუშვი თოკი, იოთამ! მე ვდგავარ! — შესძახა მან იოთამს, რომელმაც დაუშვა თოკი ტანის დაწევით. თორნიკემ ამოუჭრა საფეხური ოთარს და შესდგა მაზე. თორნიკე და ოთარი ახლა ერთად იდგენ და გვირაბს სრულად ავსებდენ ტანით.

— ახლა შენი რიგია, იოთამ! წამოდი, აქა ვართ... ხმა მანდა წყდება სწორედ და აქ აღარ არის... აღმად იქ რაღაცა უნდა იყოს... მაინც წამოდი, აქ დაგიჭრო! — ეუბნებოდა იოთამს ოთარი.

იოთამს არ დაუყოვნებია. დაეშვა ძირს. უცნაურ იდგილის ესეც მოწყდა და ზედ თავზე აკი დაეცა მეგობრებს. ამან ღიღი სიცილი გამოიწვია და ოხუნჯობა ამხანაგებს შორის. უცნაურად გაისმოდა მათი ხმა ამ ჯურლმულში. თუ არა ყარამანის ამბავის არ ცოდნა და ამაზე ღიღი დამწუხრება, იოთამის ოხუნჯობა სულ დავიწყებდა მეგობრებს, თუ რა გაჭირვებაში იმყოფებოდენ.

მალე დაეწყვენ ისევ და გზა განაგრძეს. ახლა უფრო აღვილი სასიარულო იყო, რადგანაც გვირაბის კედელი ირიბად იყო დაქათებული აქედან და თორნიკეს საფეხურების ამოჭრა უადვილდებოდა.

ოთარი განსაკუთრებით სწუხდა, რომ ყარამანის კვალი კიდევ არსად ჩანდა და თავის წუხილს ხშირად უზიარებდა. მეგობრებს. იოთამი კი არწმუნებდა მას, რომ ყარამანი მოსვენებული და სრულიად უვნებელი დახვდებოდა მათ მეორე ეხში, რომელშიც ჩადიოდა მათი გეირაბი.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, თვალი მოჰკრეს ქვევიდან ამომავალ სინათლეს. გაუხარდათ, სამშვიდობოს გირთო და სვლა დააჩქარეს. მალე მიადგენ გვირაბის ბოლოს, საიდაც თორნიკემ დაინახა მეორე ეხის იატაკი. აქ თოკიც გათავებულიყო. ჩაიხედა შიგ, შეიხსნა წელზე თოკი და ჩამოხტა.

— ყარამან! — დაიძახა მან და მიიხედ-მოიხედა. მაგრამ ყარამანი აღარსად იყო.

— არ არის ყარამანი? — შეეკითხა მას ჩამომხტარმა ოთარმა მოუთმენელი ხმით.

— სად არის ყარამანი? — მიმართა ახლა ორსავე მათმა მომღევნო იოთამმა.

— ალბად გარედ გავიდოდა! — სთქვეს სამთავე და მია-შურეს ეხის გასავალს. გავიდენ ჰაერზე. მიიხედეს, მოიხედეს — ყარამანი არ ჩანდა.

— ყარამან! — დაპიკილა მაშინ ოთარმა. — ყარამან, უუჭი!

ყარამანი ამ დროს პირველი ეხის კარიღდან გამოდიოდა. კოჭლობდა იგი და ეხის კედელზე მიყრლნობით წელა მოდიოდა. ძახილს რომ ყური მოჰკრა, ვერ მოითმინა და გასძიხა:

— აქა ვარ! აქა!

მეგობრებმა დაინახეს აგი. ერთი შესძახეს სიხარულით: „გაღმარჯოს ჩვენს ყარამანსა!“ სა მისკენ გაიქცენ.

— რა კარგია, შვილებო, რომ არ გამომყოლიხართ და დროზე ამოსულხართ ამ უცნაურ გვირაბიდან, თორებ თქვენც ჩემსავით დაიმტვრევოდით... მეორე ეხში მეძებდით, ალბად მაგრამ მე კი პირველში მოვხვდი სრულიად მოულოდნელად. ამ შემთხვევაში მოვტყუვდი, მეგობრებო: ის გვირაბი თურმე პირველ ეხში ჩადის და არა მეორეში...

— როგორ თუ პირველში? — გაიკვირა ოთარმა — აკი ჩვენ მეორეში მოვხვდით!!

— როგორ თუ მეორეში მოხვდით? — გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა ყარამანს.

— შენ რომ ჩავარდი, ყარამან, — აუხსნა იოთამმა მას, ჩვენ უკან კი არ დავბრუნებულვართ, არამედ განვაგრძეთ გზა. უველანი მოვწყდით იმ ადგილას, საიდანაც შენ გადაიჩეხ, მაგრამ ერთმანეთი შევამაგრეთ. მერმე დავყევით გვირაბს პირდაპირ და, ესეცაა, მეორე ეხში რომ ამოვყავით თავი:

— მეორეში? — არ სჯეროდა ყარამანს.

— მაშ, რომელში, როცა სხვა გზა იქ არ იყო? — კითხულობდა ოთარი და გაოცებით შესცემროდა ბიძიას, რატომ არის დაბნეულიო.

— მე კი პირველში ჩამოვარდი, მეგობრებო! — განაცხადა ყარამანმა. მის ხმას მისტიური კილო დაპირავდა. ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.



— მოდით! რა გაჩვენოთ! — დარღვია ისევ ყარამანმა სიჩუმე და შებრუნდა პირველში.

— აბა, თუ მიხვდებით, საიდან ჩამოვარდი! გეტუვით კი, რომ ამ ჭერიდან ჩამოვარდი, დანარჩენი კი თქვენ მიხვდით — უთხრა ძმად ნაფიცებს ყარამანზა და ეხის ჭერს შეახედა.

— აბა, რას ამბობ, ძია ყარამან! — სწუხდა ოთარი, რომელსაც უცნაური ლაპარაკის გარდა ყარამანის გაფითრებული სახე და გაოცებული თვალები ეჭვს უძრავდენ, ჭიჭაზე ხომ არ შეშლილა ბიძაო. — როგორ იქნება აქედან ჩამოვარდნა, როცა ეხი ქვის ჭერითაა იქ დახურული და ჭუჭრუტანაც კი არსად ჩანს!

— შენ ცდები, ყარამან! ის ეხი მეორე იქნებოდა და შენ მერმე აქ, პირველში, შემოხვილოდი! — არწმუნებდა ახლა იოთამი ყარამანს.

— საიდუმლოებაც სწორედ ამაშია, მეგობრებო! ეს მეორე საიდუმლოებაა ჩემ მიერ აღმოჩენილი! აი, თქვენც ნახეთ, თუ არ გჯერათ! — და ამ სიტყვებით ასწვდა ყარამანი ჭერს ჯოხით, შეარქო ერთ აღგილას, შეატრიალა შიგ და შემდეგ უცბად მოსწია თავისკენ. — ძმად ნაფიცების გაოცება აუწვრელი იყო, როცა ჭერი გაირღვა, თითქოს კარი გაღებულიყო, შეაშრიალა ჰაერი, შავი ჯურლმული გამოაჩინა, და ისევ ავტომატიურად დაიხურა.

— აი, საიდან ჩამოვარდი! — სთქვა ყარამანმა და გადახედა მეგობრებს. ამათ გაოცებას შიშიც დამატებოდა და ასეთი სახით ხან ჭერს შესცეკეროდენ ისინი, ხან კი ყარამანს!..

IX.

იმ დღეს მეტი ალარ უმუშავიათ ნატახტარზე. ნასადილევს ყარამანს დაეძინა. იგი არეულივით იყო, სანამ დაიძინებდა. დუმდა სულ და ეტყობოდა, ვერ სცილდებოდა აზრით მის მიერ აღმოჩენილი გვირაბის საიდუმლოებათ.

დიდ ხანს ეძინა ყარამანს. როცა გამოეღვიძა, შოიხმო ძმადნაფიცები და განუცხადა:

— მეგობრებო, მე ახლა კარგადა ვარ. ჩემი ახალი გეგმა ნატახტარისა არ ვარგა. სწორი არ არის. საქმე ისაა, რომ



ჯერ კიდევ დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, თუ როს შეიცავს ნატახტარი შიგნით. მაგრამ ჩემი მთავარი ვარაუდი მეოცდახუთე აღლის სიღრმის შესახებ უთუოდ გამართლდება. არ ვიცი მხოლოდ და ვერაფერიც ვერ მომიაზრებია იმ შეორე მიმართულების შესახებ, რომელმაც უცნაურად მოძრავი ჭერით მე პირველ ეხში შემიყვანა. დილას კვლავ უნდა შევუდეთ მუშაობას. უპირველესად, როგორმე უნდა გამოვიკვლიოთ მეოცდახუთე აღლის საიდუმლოება...

— მე ამის საშუალება უკვე გამოვიგონე, ძია! — სთქვა ოთარმა. — ჩენ რომ თოკის კიბე გვაქვს, თუადლიანია. შენ რომ გეძინა, ჩენ მას კიდევ ათი საფეხუთი გაფუკეთეთ და აზლა გვაქვს დაახლოებით 26—27 ადლიანი კიბე. ჩავუშვათ იგი გვირაბში და მივადგეთ იმ უცნაურ ადგილს. შენ როგორ გვინია, რადგანაც დადლილი ხარ და ფეხი გტკივა, ჩენ სამი წავალთ ამ საღამოსვე და შიგ ჩავეშვებით კიმით. ვნახავთ, რა ამბავია, და მერე შენ გიამბობთ. ხვალ დილას შენც ჩახვალ!

— კი, ძია ყარამან! — განაგრძო იოთამმა. — ჯინი გვჭირს იმ მეოცდახუთე აღლის სიღრმისა, რომ ასე დაგვამარცხა ამ დილას, და ვერ ვითმენთ! ლამის არის, ამაღამ არც დაგვეძინოს.

— ჩენ მხოლოდ გავიგებთ, რა ხდება იქ იმისთანა, რომ ხმა წყდება და კაციც ვერ დგება მის ახლო. ეს, მგონი, შევვიძლია! — სთქვა ოორნიკედ.

თოკის კიბეზე მეც ვფიქრობდი და დილი საქმე გავიკუთებით. რაც შეეხება თქვენს წასვლას, ახლა გვიანაც არის და უჩემობა ნუ გინდათ, მეგობრებო! დილას განვაგრძოთ მუშაობა. მე კიდევ რაღაცას ვთიქრობ და არ დამიმთავრებია ფიქრი. იცოდეთ, ამასაც მნიშვნელობა იქვს. ესეც არ იყოს, დასვენებდა გვირიათ, ხალხო, და ნატახტარი ხომ არსალ არ მიდის! — ეუბნებოდა ყარამანი მეგობრებს.

ძმათ ნაფიცებს უკონათ, რომ არ დაეძინებოდათ, მაგრამ, როგორც კი მიდვეს თავი ბალიშს ნავაზშმევს, მაშინვე დაეძინათ. მათი ახალგაზრდა სხეული არა გრძნობდა, თორემ დალლილები იყვნენ დიდად დღის განცდებისაგან.

დიდ ხანს არ დასძინებია კი ყარამანს. იგი შეაღამებდი ნაბიჯით დადიოდა აივანზე და სულ ნატახტარზე ფიქრობდა ხშირად შედგებოდა ხოლო და ხმამაღლა შეეკამათებოდა თავის თავს. აზრი აწუხებდა რომელილაც და ვერ გამოეთქვა იგი.

შორს, ძალიან შორს კი მიდიოდა მისი აზრი. ისტორიას არ ჰქონდა ცნობები ნატახტარის შესახებ, ეს ძალიან



აბრკოლებდა ყარამანს. ხოლო ამ უბანში მდებარე შესანიშნავი ადგილები, როგორიც იყვნენ ხეთიანი, ნათუბარი და სხ. იქვს ბადებდა მასში, რომ ნატახტარი, შეიძლება, იმ ღროინდელი ამბების შემცველი იყოს, როცა ქართველი ტომები პირველად შემოლიოდნ აწინდელ ამიერკავკასიაში და აქ მცველოდებოდენ.

ან, იქნება, იგი სულ არ იყოს ქართველთა მოდგმის ხალხის მიერ ნაშენი და ეკუთვნოდეს იმათ, რომლებმაც ადგილი დაგვითმეს აქ...

ბევრი აზრი უტრიალებდა თავში ყარამანს, მაგრამ ვერცერთზე ვერ შეჩერებულიყო. ყოველ შემთხვევაში ერთში კი იყო იგი დარწმუნებული: სახელდობრ იმაში, რომ ნატახტარში რაღაცა ისეთი რამ არის დაცული, რაც სრულიად ახალსა

და ჯერ მიუგნებელს ეტყვის ქართველების ისტორიულ მეცნიერებას.

ეს ჩრდენა დიდ ძალას ჰქონდა ყარამანს, იგი ამაყად გრძნობდა თავს, რომ პირველმა შეაღო ასეთი საიდუმლოების კარგბი.

შეუ ღამეზე გადასული იყო, როცა ათასი გრძნობით და ფიქრით აფორიაქებული ყარამანი თავის საწოლ ოთახში შევიდა და დაწვა.

X.

დილა აღრიან უკვე ნატახტრის თავზე იყვნენ მეგობრები და გვირაბში ჩასასვლელად ემზადებოდენ. თოკის კიბე უკვე ჩამოიწვათ და ახლა თვითონაც ეწყობოდენ. გარდა ხელსაწყოსი ამ რიგობაზე საგზალიც მოეტანათ და რამდენიმე შეშა წამალიც წამოედოთ, ზოგი სასუნებელი და ზოგიც რა.

მუშაობის წარმოება ასეთი გეგმით გადაეწყვეტათ: ჯერ ყარამანი და თორნიკე უნდა ჩასულიყვნენ გვირაბში. ჩაეტანათ ლომი, ხელის ბარი, ნაჯახი და სხ. მეოცდახუთე ადლის სილრმეზე ღრმად შეეთხარათ კედელი, რის შემდეგ ოთარი და იოთამიც მიეშველებოდენ.

ასეც მოიქცენ. ვიღრე ოცდახუთი ადლის სილრმეზე დაეშვებოდა, ყარამანი შეჩერდა. სახელდახელოდ გააკეთა ორი საფეხური აქეთ-იქით კედელზე და შესდგა ფეხები, ხოლო ზურგით კედელს მიებჯინა. მის მიერ გათავისუფლებულ თოკის კიბის საფეხურზე დაეშვა თორნიკე, რომელსაც ყარამანმა გადასცა თავისი ფარანი და ლომი. თვითონ კარგადაკვირვებით დაათვალიერა გვირაბის კედელი ყოველი მხრით. აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც გუშინ ფეხები დაუსხლტა მეგობრებს, სხვა ნივთიერებისაგან შესდგებოდა კედელი და ფარნის სინათლეზე ისეთს ფერს გამოსცემდა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო არც ქვისაგან და არც თიხისაგან. ამ გარემოებით გაკვირვებულმა ყარამანმა გამოართვა ლომი თორნიკეს, დაიხარა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, და მისი ერთი თავით სწვდა იმ ადგილს. რკინის მიკარების-

თანავე უცნაურმა კედელმა წკრიალა ხმა გამოსცა და ლომი შექანებით უკუაგდო.

— მმ!.. — ჩაილაპარაკა ყარამანმა და ახლა უფრო მაგარი მოქნევით სწვდა ლომით კედელს. იგივე განმეორდა ახლაც, რაც პირველ შემთხვევაში, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ კედელმა ლომი ახლა უფრო ძლიერად უკუაგდო.

— გესმის, თორნიკე! იგი სწორედ ის ადგილია, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს! წარმოიღინე, ჩემი ხელი ისე გრძნობს, თითქმ მაგარ დარტყმაზე იქ კარი გაიღება, უნდა ვცადო კიდევ! ჩემი აზრით პირველი ენის შემთხვევა აქაც უნდა განვეორდეს.

ამ სიტყვებით შესწორდა ყარამანი, მოიმარჯვა მთელი ტანი და მთელი ლონით მოუქნია ლომი კედელს. ჯერ დაიწკრიალა კედელმა, შერმე ისე ჩაიშრ-ჩაიხრიალა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო.

— გესმის? — ჰერთხა თორნიკეს ყარამანმა.

— რაღაცა გაირღვა და ჩაიქცა, მგონია! — უპასუხა მან.

ხმაურობაშ მაღლა ოთარი და იოთამიც გააკვირვა. ეს რაღაცას კი უნდა ნიშნავდეს, სთქვეს მათ და ოთარმა მთელი ხმით ჩასძახა გვირაბში:

— ხალხო, რა ამბავია? ხომ არ ჩამოვიდეთ?.. ხმა გაგვეცით!

— არაფერია! მანდ /იყავით ჯერ კიდევ! — ამოსძახა მათ თორნიკემ.

ხმაურობა რომ მიწყდა, საკვირველი სიჩუმე ჩამოვარდა. არაფერი არ ისმოდა. ის საიდუმლო ხმაც მიწყდა, რომელიც ასე განუწყვეტლად გაისმოდა ვგირაბის აღმოჩენის წამიდან და ასე შეზავებული იყო თვით მთელ ამ უცნაურ ძლგილთან.

კიდევ დაიხარა ყარამანი და თვალები მიაცივა იმ ადგილს. წინად რომ უცნაურმა უერმა მიიქცია მისი ყურადღება, იგი ახლა აღარ იყო. კარგად დაკვირდა, კედელი შავად შელრმავებულიყო კარგა დიდ მანძილზე. ერთანტელმა დაუარა ყარამანს ტანში. აენთო. სწრაფად გაიმართა წელში.

— დაიჭირე ლომი, თორნიკე! — უთხრა მან უფრო ჩურ-

ჩუღით შეგობარს და როცა ხელი გაითავისუფლა, მყისვე წაავლო თოკის კიბის უკანასკნელ საფეხურს ხელები და ტანით კი მოწყდა იქაურობას.

— რას შერები, ყარამან?.. ჩაერდი, თუ რა ამბავია?— დაიძახა მას გაკვირვებულმა თორნიკექმ, რომელმაც სიტყვის დამთავრებამდისაც კა შენიშნა, რომ ყარამანი აღარსად იყო: არც ხელებით ციდა კიბეზე და არც გვირაბის კედლის გაყოლებაზე იმყოფებოდა. უკვე მოქმედა დასაყვირებლად, რათა მალო ეცნობებია უბედურება, რომ ქვეშედან ხმა მოესმა:

— შიში ნუ გაქვს, თორნიკე! აქა ვარ!.. შენც შეგიძლია ახლა დაეშვა. კარი ლიაა და გზა თავისუფალი!—სრულიად წყნარი, მაგრამ გამარჯვების კილოს დაკვრით ეუბნებოდა ყარამანი შეშინებულ თორნიკეს.

— სადა ხარ, რომ ვერა გხედავ?

— დაუშვი ცოტა ფარანი და შემხედავ!

— თორნიკემ მართლა დაუშვა ფარანი. მის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ყარამანი თავისუფლიად იდგა ოთხკუთხად ამოქრილ საიდუმლო შესავალში და მისკენ მაღლიძარი იცქირებოდა.

სწრაფად დაეშვა იგი ძირს, მაგრამ ამ დროს რამდენჯერმე მაგრა შეინძრა მაღლიდან თოკის კიბე.

— ჰეი!—დაიძახა თორნიკემ.—რას შერებით?

— ჰეი და ჰეი! ჩვენ მაშინ ხალხი არ ვყოფილვართ!.. დაიჭირეთ, შეიპყარით, თუ გადაყლაპეთ ის ხმა, რომ აღარ ისმის!—ჩამოლიოდა კიბეზე იოთამ და ისე ამბობდა, თითქო ჯაერობდა და ოხუნჯობდა ერთსა და იმავე დროს ოთარს და იოთამს ვერ მოეთმინათ და ხმის დაკარგვის თანავე გადაეწყვიტათ ჩასულიყვნენ გვირაბში.

— ჩვენც მოვდივართ, მაშ... თუ გინდათ, თქვენ ადით მაღლა და გვიყარაულეთ!—ნაწყენი კილოთი ლაპარაკობდა და გზა და გზა ოთარიც მისდევდა.

— მოდით, მოდით, მეგობრებო!.. ჩვენ კი არა, აქ ათასი ყაციც დაეტევა... მოდით, მოდით და თქვენი თვალით დაინახეთ, რა ამბავია!—ბედნიერი ხმით ეუბნებოდა ყარამანი

(დასასრული იქნება).

ლ. ქიაჩელი.




ପ୍ରାଚୀନ ତଥା ବ୍ୟାକ


(ଫିଲେଟିକିଲ୍ ବ୍ୟାକ ଓ ପରିଚୟ ପାଇଁ ବିଷୟାବଳୀ ପ୍ରକାଶିତ ହୁଏଥାଏନ୍)




ପାରତୀଯଙ୍କ
ଦୀଦିଂ ପ୍ରେସିଙ୍ଗ୍ରିମ୍ବିଂ ,




ପାରତୀଯଙ୍କ ପ୍ରେସିଙ୍ଗ୍ରିମ୍ବିଂ
ସାନ୍ତେଜିଂ



, ,



, ,



ପ୍ରେସିଙ୍ଗ୍ରିମ୍ବିଂ
ପାରତୀଯଙ୍କ

, ,



, ,



,



, ,



77

ა ხ ს ნ ა

1—2 მოთავსებულ შარადების გამოცანათ — თავსატეხის
და რებუსის ახსნა.



3. სამზარეულო, 3. გერმანეთი.

რებუსების — 4. იცოცხლე ქვეყნისათვის, 2. ფარი და
შუბი შველებური დარალია.



განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ
 აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო
 სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოცემულ
 წიგნების სია:

(ფასები ჩერვონცებით).

	ფასი
1. „ნაკადული“ 1921 წ. №№ 1922 წ. №№ თითო წიგ.	15 კ.
2. „ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. №№ ” ” ”	25 ”
3. „ნორჩი ძალა“, — კრებული	15 ”
4. „სამი ამბავი“, — შიო მღვიმელისა	10 ”
5. „კოკროჭინა“, — დ. ღონდუასი.	10 ”
6. „ბელა ბეკეტა“ ” ”	10 ”
7. „შემოღვომა“, ფერად-სურათებიანი წიგნი	70 ”
8. „დედაბერი, ტური და მელია კუდი გრძელია“	50 ”
9. „ბავშვებს“, — ლექსები გ. ქუჩიშვილისა.	20 ”
10. „ტყის ზღაპარი“, — მამინ სიბირიაკისა, თარგ...	20 ”
11. „ტყის სურათები“, შიო მღვიმელისა	25 ”
12. „ჭიანჭველის საოცარი თავგადასავალი“	30 ”
13. „თავისუფალ ბავშთა სიმღერები“	2 ”
14. „ქართული მოძრავი თამაშობანი“	80 ”
15. „ტრიადის ომი“, — ალ. მიქაელიძისა	80 ”
16. „იგავ-არაქი“, — ალ. მირიანა შვილისა	30 ”
17. „საბავშო პიესათა კრებული“	70 ”
18. „ივანე სულელი“, — ზღაპარი. ლ. ტოლსტოისა	15 ”
19. „ლურჯი ფრინველი“	50 ”
20. „ნაკადული“ 1923 წ. თითო №	25 ”
21. „ჯეჯილი“ 1923 წ. თითო წიგნი	40 ”
22. „ზამთარი“ — ფერადი სურათებით.	50 ”
23. „უფელესი ღროის ბავშის თავგადასავალი“	45 ”
24. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“	25 ”

1923 ♂.

მიიღება ხელის მოწერა საემაზილო დასურათებულ
ქურნალებზე:

ମୁଦ୍ରଣକ୍ଷତ୍ରିରେ ପାଇଲା । “କେତେ ଟଙ୍କା ?” ହେଉଥିଲା ।

კამოდის ორ თვეში ერთხელ.

მცირებადოვ. „ნაკარული“ მე-XIX წ.

გამოდის ეოველთვიურად.

ეურნალი გამოდის განათლების სახალხო კომისა-
რიატის სოციალურ დონის მთავარმართველობის
სალიტერატურო სამსატვრო სექციის ხელმძღვანე-
ლობით.

ხელის მოვარა მიღება თვითურად.

ცალკე „ჯეჯილი“ 40 კ.

„ნაკადული“ 25 კ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მოცეკვის ხარჯზე.

შისძმარით: ტფილისი, ლორის-შელიქვის ქუჩა, № 5, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჭილის“ რედაქცია.

ରେଣ୍ଡାପିଲାରୀ—ସାହୁଙ୍କାଳୀ ପୁଣ୍ୟଗୀରୀ.

68 "Zapovedniks' voprosy v sovremennoj Rossii" (1998)